



საქართველოს მთავრობის ბანკარბულება

№1689 2012 წლის 5 სექტემბერი ქ. თბილისი

**იმერეთის რეგიონის განვითარების 2012-2017 წლების სტრატეგიის
დამტკიცების თაობაზე**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ს“ ქვეპუნქტისა და ევროკავშირისა და საქართველოს მთავრობას შორის 2011 წლის 14 ნოემბრის დაფინანსების ხელშეკრულების („საქართველოს რეგიონული განვითარების რეფორმის მხარდაჭერა“) მე-2 დანართის (ტექნიკური და ადმინისტრაციული დებულებები) შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „იმერეთის რეგიონის განვითარების 2012-2017 წლების სტრატეგია“.

პრემიერ-მინისტრი

გამოყენებულია ელექტრონული
ხელმოწერა

ივანე მერაბიშვილი





იმერეთის რეგიონის განვითარების 2012–2017 წლების
სტრატეგია

საძიებელი

1. შესავალი	3
2. რეგიონის ზოგადი პრეზენტაცია	4
3. რეგიონის განვითარების ანალიზი და შეფასება	7
3.1 მოსახლეობა, დასაქმება, დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები	7
3.2 რეგიონული ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა	9
ა) ეკონომიკისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება: წარმოება, ტურიზმი, ვაჭრობა, მომსახურების სფერო, მცირე და საშუალო მეწარმეობა	9
ბ) სოფლის მეურნეობა	14
გ) სოციალური განვითარება	16
დ) ბუნებრივი რესურსების მართვა და გარემოს დაცვა	22
4. რეგიონის განვითარების ხედვა, მიზნები, პრიორიტეტები და განვითარების წინადადებები	27
5. მონიტორინგის ცხრილი	36

1. შესავალი

ამ სტრატეგიის შემუშავების მიზნით, რომელიც ეყრდნობა „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგიას“, შესწავლილია იმერეთის მხარეში არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, განხორციელებულია არსებული ვითარების ანალიზი და აღნიშნულის საფუძველზე გამოკვეთილია კაპიტალის დაბანდების სავარაუდო მიმართულებები, განსაზღვრულია რეგიონული განვითარების პერსპექტივები, დასაბუთებულია მათი აქტუალობა და შესაბამისობა ქვეყნის საერთო-სახელმწიფოებრივი პრიორიტეტებთან. სტრატეგია მოიცავს ყველა იმ ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ პრიორიტეტს, რომელიც რეგიონის ტერიტორიაზე არსებობს, ასევე ყველა იმ რესურსს, რომელიც ამ მიმართულებით იქნება გამოყოფილი და გამოყენებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის ძირითად მიზნებად განისაზღვრა:

- რეგიონის დონეზე თანამედროვე სტრატეგიული დაგეგმარებითი პროცესების სრულყოფა-განვითარებისათვის საფუძვლების შექმნა;
- სიტუაციური და ფაქტორული ანალიზების მომზადება ძირითად მიმართულებებზე (რეგიონული ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის საჭიროებები, რეგიონული სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკა, სოციალური განვითარება და ინფრასტრუქტურა, გარემოს მართვა);
- იმერეთის ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივების საფუძვლიანი შესწავლა;
- საინვესტიციო პოტენციალისა და კაპიტალის დაბანდების სავარაუდო პრიორიტეტულ მიმართულებათა დახასიათება.

სტრატეგიის რეალიზაცია ორიენტირებულია იმერეთის მხარეში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, სამრეწველო, სავაჭრო, ტურისტული და აგროსექტორების განვითარების, რეგიონის ეკონომიკის დინამიური ზრდის უზრუნველყოფის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდის, სიღარიბის ეტაპობრივი დაძლევისა და სოციალური ფონის გაუმჯობესების ხელშეწყობაზე.

კვლევის შედეგები გათვლილია მნიშვნელოვან პრაქტიკულ და გამოყენებით დატვირთვაზე, რამდენადაც მის პოტენციურ მომხმარებლად შეიძლება მოვიაზროთ: საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონული მართვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, შიდა და გარე ინვესტორები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, მეცნიერი და პრაქტიკოსი ეკონომისტები, რეგიონის სტუმრები და ტურისტები, სხვა დაინტერესებული პირები.

2. რეგიონის ზოგადი პრეზენტაცია

მცირე ტერიტორიის მიუხედავად, საქართველოში იმდენად ღრმადაა წარმოდგენილი ტერიტორიული განსხვავებანი, რომ იგი ფაქტობრივად მკვეთრად გამოხატული რეგიონული თავისებურებების ქვეყნად შეიძლება მივიჩნიოთ. ამასთან, განსხვავება შეიმჩნევა როგორც ცალკეულ რეგიონებს შორის, ისე რეგიონის შიგნით, ტერიტორიულ ერთეულთა (თვითმმართველი ქალაქები და მუნიციპალიტეტები) მიხედვითაც. ამის ნათელი დადასტურებაა იმერეთის მხარე. დასავლეთ საქართველოს ეს უნიკალური პირობებითა და რესურსებით მდიდარი მხარე, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, შორეული წარსულიდან იღებს სათავეს და მდიდარი ისტორიული ტრადიციები აქვს და სათანადო წანამძღვრები გააჩნია ეკონომიკის განვითარებისათვის.

იმერეთის მხარე საქართველოს ცენტრალური რეგიონია. იგი დასავლეთ საქართველოს ევროპული ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარეობს, მისი ფართობი 6518,8 კვადრატული კილომეტრია, რაც საქართველოს ტერიტორიის 19,4%-ს შეადგენს. რეგიონის მოსახლეობა 704,5 ათას კაცს და საქართველოს მოსახლეობის 15,8%-ს შეადგენს. მხარე აერთიანებს 12 ტერიტორიულ ერთეულს: თვითმმართველ ქალაქ ქუთაისს, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს.

იმერეთი ძირითადად მდებარეობს ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქში. აღსანიშნავია, რომ მხარის დაბალმთიან და საშუალომთიან რაიონებში ზღვის გავლენა შესუსტებულია, მაგრამ დამახასიათებელია ნოტიო კლიმატი. აქ ზამთარი ცივია და ზაფხული შედარებით მშრალი და ცხელი. იანვრის თვის ტემპერატურა საშუალოდ +2°C, +5°C-ია, ხოლო ზაფხულში მაქსიმალური ტემპერატურა – +38°C, +40°C. ნალექების რაოდენობა 100-200 მმ-ია. ნალექიან დღეთა რიცხვი საშუალოდ წელიწადში 150-ს შეადგენს.

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 26 იანვრის №18 ბრძანებულებით შეიქმნა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – „იმერეთის მხარე“, რაც მიზნად ისახავდა ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, მეურნეობების ახალ პრინციპებზე გადასვლას, მართლწესრიგის განმტკიცებასა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას.


ტერიტორიის ფართობი	6518,8 კმ ²
მოსახლეობის რიცხოვნობა	704,5 ათ. კაცი
თვითმმართველი ერთეულების რიცხვი	12
ადმინისტრაციული ცენტრი	ქ. ქუთაისი
მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის	220 კმ
ადმინისტრაციული ცენტრის დაშორება უახლოეს საერთაშორისო აეროპორტთან	20 კმ
უახლოესი საზღვაო პორტი რეგიონის ცენტრალური ქალაქიდან (ფოთი)	102 კმ

2007 წლის 27 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის №406 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ახალი დებულება. ამ დოკუმენტით სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი არის საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ამ დებულებით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

ახალი დებულებით ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა გუბერნატორის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია: შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური

განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება, საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვასა და რეგიონული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა.

მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიის არეალში ყოფნა მნიშვნელოვანი უპირატესობის აღმნიშვნელია რეგიონისათვის. ხელსაყრელი პირობები იქმნება ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებული კვების, მსუბუქი და ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი და ასევე გადამმუშავებელი დარგებისა და მომსახურების სფეროს განვითარებისათვის. ამიტომ, მომსახურებისა და სავაჭრო სფეროს თანამედროვე ორგანიზებული ფორმები (მოლები, სუპერმარკეტები, სავაჭრო ცენტრები, გამოფენა-გაყიდვები, სალონები და ა.შ.) შესაძლებელია ინვესტირების სასურველ ობიექტებად განვიხილოთ. ამ მხრივ, განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების გასწვრივ ქუთაისის, სამტრედიის, წყალტუბოს, თერჯოლის, ზესტაფონისა და ხარაგაულის ტერიტორიულ ერთეულებში.




3. რეგიონის განვითარების ანალიზი და შეფასება

3.1. მოსახლეობა, დასაქმება, დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები

იმერეთის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა ბოლო 4 წლის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2012 წლის 1 იანვრის მონაცემებით, სულ იმერეთის მოსახლეობა შეადგენს 707,5 ათას კაცს.

მოსახლეობის ორ ბოლო აღწერას შორის (1989-2002 წწ.) იმერეთის მოსახლეობა უმნიშვნელოდ – 67,2 ათასი კაცით (8,8%) შემცირდა, ხოლო 2008 წელს 2002 წელთან შედარებით 0,8%-ით შემცირდა, 2012 წელს 2002 წელთან შედარებით კი რეგიონის მოსახლეობა 1,9%-ით (13,3 ათასი კაცით) გაიზარდა.



რეგიონის მოსახლეობის დინამიკა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (ათასი კაცი, 1 იანვრის მდგომარეობით)

თვითმმართველი ერთეული	2002	2004	2006	2008	2010	2012
ქ. ქუთაისი	186,0	183,8	190,1	188,6	192,5	196,8
ბაღდათი	29,2	28,7	29,0	28,6	28,7	28,8
ვანი	34,5	34,0	34,2	33,7	33,8	33,8
ზესტაფონი	76,2	75,2	75,6	75,2	75,4	75,7
თერჯოლა	45,5	44,8	45,3	44,8	45,0	45,1
სამტრედია	60,5	59,7	60,4	59,9	60,3	60,8
საჩხერე	46,8	46,2	46,4	46,6	47,3	48,1
ტყიბული	31,2	30,6	30,6	30,2	30,1	30,1
წყალტუბო	73,9	72,9	73,9	73,2	73,6	74,1
ჭიათურა	56,3	55,5	55,6	55,0	55,0	55,3
ხარაგაული	27,9	27,5	27,6	27,4	27,5	27,4
ხონი	31,7	31,3	31,4	31,0	31,2	31,5
სულ:	699,7	690,2	700,1	694,2	700,4	707,5

რეგიონის მოსახლეობის 27,6% ქ. ქუთაისში ცხოვრობს. მოსახლეობის მაღალი რიცხოვნობით გამოირჩევა ზესტაფონის, წყალტუბოს და ჭიათურის მუნიციპალიტეტები.

ბოლო წლებში, რეგიონიდან შრომითი მიგრაცია დამახასიათებელია ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, იტალია და ნაწილობრივ დსთ-ის ქვეყნები.


რეგიონის ზოგიერთი ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებელი

მაჩვენებელი	2002	2004	2006	2008	2010	2011
გარდაცვლილთა რიცხოვნობა	8980	9756	7797	7659	8726	9015
ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა	6809	7717	7131	8397	10041	8835
ქორწინებათა რიცხოვნობა	1967	2683	3355	5243	5362	5058
განქორწინებათა რიცხოვნობა	210	229	258	365	580	825

რეგიონში მაღალია თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 63-65%-ს შეადგენს. ეს განპირობებულია საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სექტორის მაღალი ხვედრითი წილით. 2009-2011 წლებში უმუშევრობის დონე რეგიონში 13,2%-იდან 9,3%-მდე შემცირდა, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 3,7%-ით გაიზარდა. ამასთან, დაქირავებულთა რაოდენობა 12,4%-ით გაიზარდა.

მაჩვენებელი*	2006	2007	2008	2009	2010	2011
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	394.9	364.2	376.0	377,2	366,0	370.7
სულ მომუშავე:	356.8	338.0	331.7	327,3	323,5	336.1
მათ შორის: დაქირავებული	89.5	85.5	82.8	90,6	90,2	101.8
თვითდასაქმებული	267.2	252.5	248.9	236,7	232,0	233.6
გაურკვეველი	0.1	0.0	0.0	0,0	1,3	0.7
სულ უმუშევარი:	38.1	26.2	44.2	49,9	42,5	34.3
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	9.7	7.2	11.8	13,2	11,6	9.3

*რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჩათვლით



სამთავრობო პროგრამით „მეტი სარგებელი ხალხს – 2012-2016“ გათვალისწინებულია პროფესიული გადამზადების დახვეწა და ეფექტიანი გამოყენება. ასევე, ყველა მსურველი მიიღებს სახელმწიფოსაგან პროფესიული გადამზადების ვაუჩერს, რითაც განათლების პროცესი ამ მიმართულებით უფასო გახდება.

3.2. რეგიონული ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა

ა) ეკონომიკისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება: წარმოება, ტურიზმი, ვაჭრობა, მომსახურების სექტორი, მცირე და საშუალო მეწარმეობა

რეგიონული ეკონომიკის განვითარების დონესა და მის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად განაპირობებს მდიდარი ბუნებრივი რესურსები. რეგიონი გამოირჩევა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წიაღისეული სიმდიდრეების მრავალფეროვნებით. ამჟამად, იმერეთში 100-ზე მეტი მინერალურ-სანეღლეულო რესურსების საბადოა აღრიცხული, რომელთაგან ნახევარზე მეტი საექსპორტოა. მათ შორის:

- ჭიათურის მანგანუმი – მისი ბალანსური და ბალანსგარეშე მარაგები 215 მილიონ ტონას შეადგენს მადნის ყველა ტიპის (უანგეული, კარბონატული, დაუანგეული, შერეული, ქვიშაქვები) მიხედვით. მანგანუმის ჯერ კიდევ დაუმუშავებელი მარაგების ვარაუდია ყვირილასა და ზესტაფონის რაიონებში, ჩხარი-აჯამეთის, ქუთაისისა და თერჯოლის ტერიტორიებზე;
- ტყიბულისა და გელათის ქვანახშირი;
- ბარიტის, დიატომიტის საშენი მასალები, თიხის მარაგები;
- ბეტონიტური თიხები (გუმბრინი), მარმარილო, გამარმარილოებული კირქვები, ტეშენიტების, ბაზალტის საბადოები.

მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად, რის გარეშეც წარმოდგენილია სამრეწველო სექტორის განვითარება. იმერეთში ამჟამად 5 ჰიდროელექტროსადგურია განლაგებული: რიონჰესი, გუმათჰესი, ვარციხჰესი, ძეგრულჰესი, შაორჰესი. მათ მიერ ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება 1400-1500 მლნ კვტ საათია (28-29 მლნ ლარი). ჰიდრორესურსების სიუხვე, იმავდროულად, მრავალი მცირე (მინი) ჰესის აგებისა და ფუნქციონირების პირობებსაც ქმნის.

საინტერესო ახალი პერსპექტივები იშლება იმერეთში ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ნახშირის საბადოებით დიდი დაინტერესება გამოხატეს უცხოელმა ინვესტორებმა ნახშირიდან მეთანის მიღებასა და შემდგომში მის მრავალმხრივ გამოყენებასთან დაკავშირებით.

რეგიონში სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობი 336,8 ათასი ჰექტარია, აქედან, დაცული ტერიტორიების ფართობია 31,4 ათასი ჰა, ხოლო სსიპ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყით დაფარული ფართობია 97%, ანუ 296,7 ათასი ჰა. სულ რეგიონებში ტყით დაფარული ფართობი შეადგენს (97%-ის გათვალისწინებით) 326,7 ათას ჰა-ს და ტყიანობის პროცენტია 50%, რაც ქვეყნის ტყიანობის პროცენტს აღემატება 11%-ით, აქედან 23,9 ათასი ჰა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიაა გაცემული. გარდა ამისა, 14,4 ჰა-ზე მიმდინარეობს ტყეების სანიტარიული მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები, ხოლო სამონადირეო მეურნეობა კი მოწყობილია 7.9 ათას ჰექტარზე.


ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ზრდის ტენდენციით ხასიათდება ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობის დინამიკა. კერძოდ, 1995 წელს იგი შეადგენდა 19098 მ³-ს, 2000 წელს – 45270 მ³-ს, 2005 წელს – 103718 მ³-ს, 2007 წელს – 118035 მ³-ს.

ცნობილია, რომ წარმოების განაწილება ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის მიხედვით დამოკიდებულია რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობაზე. ამ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ეკონომიკური (ბუნებრივი, ადამიანური, საინვესტიციო) რესურსების არსებობა და განაწილება.

იმერეთის რეგიონში სამრეწველო წარმოების განვითარებაც ძირითადად ამ ფაქტორთა მოქმედების შედეგი იყო. თუმცა, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ეს ფაქტორები ერთნაირი ძალით არ მოქმედებდნენ. ამას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მიმდინარე საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა, აგრეთვე რიგი სუბიექტური ხასიათის ფაქტორები.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სამეურნეო ძველი სისტემის შეცვლამ და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის სიძნელეებმა, მძაფრი პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების პირობებში, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის, და შესაბამისად, ფაქტობრივად საქართველოს ყველა რეგიონის, მათ შორის, იმერეთის სამეურნეო სისტემა.

1990-1995 წლებში სამრეწველო წარმოების დონის მკვეთრი დაცემა და ამის შედეგად რეგიონის მთლიან შიდა პროდუქტში დარგის ხვედრითი წილის არსებითი შემცირება მიანიშნებდა დეინდუსტრიალიზაციის რეალურ საშიშროებაზე, რასაც სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურისა და იმ პერიოდის წარმოების დინამიკის მონაცემებიც ადასტურებს.



1995-2001 წლებში რეგიონის ეკონომიკურ სფეროში რიგი პოზიტიური ძვრები აღინიშნა, თუმცა, მდგომარეობა კვლავ რთული დარჩა. უკიდურესად დაბალი იყო საწარმო სიმძლავრეების დატვირთვა, საწარმოთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა ძირითადი პროფილის მიხედვით რენტაბელურ ფუნქციონირებას და მათი საქმიანობა ცალკეული მცირე მოცულობის დაკვეთების შესრულებით და

სხვა დროებითი შემოსავლების მიღებით (საწარმო ფართობების გაქირავება, იჯარით გაცემა, ქონების გაყიდვა და ა.შ.) შემოიფარგლებოდა.

წარმოების უმოქმედობის, ან მცირე დატვირთვის პირობებში საწარმოებს დიდძალი საგადასახადო დავალიანებები დაუგროვდათ, რამაც, თავის მხრივ, დაამძიმა სარეაბილიტაციო ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობა.

2002-2006 წწ. პროდუქციის გამოშვების მოცულობა და ბრუნვის საერთო მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, როგორც ეროვნულ ვალუტაში – ლარში, ისე დოლარში.

2006-2011 წლებში ფაქტობრივად შენარჩუნდა რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტენდენცია (1,4 მლრდ ლარიდან 2,1 მლრდ ლარამდე, ზრდა 150%). იგი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 10-11%-ს შეადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა რეგიონის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, რაც რეგიონის ეკონომიკაში პოზიტიურ ძვრებზე მიუთითებს. კერძოდ, თუ 2006 წელს ეს მაჩვენებელი 1966 ლარს შეადგენდა, 2011 წლისათვის 3026 ლარს მიაღწია. რეგიონის მშპ-ს მნიშვნელოვანი ნაწილი ბიზნესსექტორში იქმნება. ამ სექტორშიც 2006-2011 წლებში შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია. კერძოდ, 2011 წელს ბიზნესსექტორი უკვე 787.3 მლნ ლარის პროდუქციას უშვებდა (2006 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 418.1 მლნ ლარი იყო).

ბიზნესაქტივობის ზრდაზე მიუთითებს ბიზნესსუბიექტების სიმრავლეც. კერძოდ, იმერეთში რეგისტრირებული სუბიექტების რიცხოვნობამ 45846 ერთეული შეადგინა, რაც ქვეყნის მაჩვენებლის 12,5%-ია.

განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება რეგიონში. საშუალო ბიზნესის გამოშვებამ 2008 წელს 19 მლნ ლარი შეადგინა (ამ სექტორში 8462 კაცი იყო დასაქმებული), ხოლო ბოლო მცირე ბიზნესისა – 19,3 მლნ ლარი (9762 კაცი). მთლიანად ამ სექტორმა 38,3 მლნ ლარის პროდუქცია გამოუშვა და რეგიონში 18224 კაცი დაასაქმა.

იმერეთის მრეწველობაში 13865 კაცია დასაქმებული (2010 წ.). 2006 წელს სამრეწველო სექტორი 292,3 მლნ ლარის პროდუქციას უშვებდა, 2010 წლის შედეგებით იგი 1,8-ჯერ გაიზარდა და 536,4 მლნ ლარი შეადგინა. ნიშანდობლივია, რომ 2010 წელს საქართველოს საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი კვლავ ფეროშენადნობებს ეჭირა – 263.9 მლნ აშშ დოლარით ანუ 16,7% ხვედრითი წილით, რაც მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული ზესტაფონში სტაბილურად ფუნქციონირებადი სს „ჯორჯიან მანგანეზით“.

2009 წლის 1 ივლისიდან „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის №106 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. იგი განთავსდა ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე, 269 014.27 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. თიზ-ში 2009 წლის 21 ივლისიდან შევიდა ეგვიპტური კომპანია “Fresh” და მისი პარტნიორი ქართული კომპანია „Georgian International Holding“. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე ამოქმედდა ახალი საბაჟო-გამშვები პუნქტი.

2011 წლამდე თიზ-ში:

- დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 1100 კაცი;
- გაიხსნა გაზქურების მწარმოებელი ქარხანა;
- გაიხსნა სარეცხი მანქანების მწარმოებელი ქარხანა;
- წყლის ელექტროგამათბობლების ქარხანა;
- კონდეციონერების მწარმოებელი ქარხანა;
- ტექსტილის მწარმოებელი ქარხანა.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნაწარმოები პროდუქცია დსთ-ს 10 ქვეყანაში გადის ექსპორტზე.

სამეწარმეო სექტორთან დაკავშირებული განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია:

- ❖ სს „ჯორჯიან მანგანეზის“ სტაბილური ფუნქციონირება;
- ❖ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
- ❖ მეტალურგიული ქარხანა „Euroasian steel“;
- ❖ მსუბუქი და კვების მრეწველობის მცირე საწარმოები;

- ❖ დეკორატიული საშენებლო ქვის საწარმოები;
- ❖ ტყავისა და ტყავის ნაკეთობების საწარმოები;
- ❖ ქიმიურ ნივთიერებათა, ხე-ტყის დამმუშავებელი და ავეჯის საწარმოები;
- ❖ გერმანული ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტამბა „MBM“-პოლიგრაფი;
- ❖ შვეიცარიული და ამერიკული საფინანსო კომპანიების „Swiss-credit“ და „Geo capital“ შემოსვლა.

მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად, რის გარეშეც წარმოუდგენელია სამრეწველო სექტორის განვითარება. ქვეყნის მასშტაბით ჰიდრორესურსების ტექნიკურად განხორციელებადი პოტენციალი 80-85 მლრდ კვტ სთ-ს შეადგენს, ხოლო ეკონომიკურად მიზანშეწონილი კი – 40-45 მლრდ კვტ სთ-ს, აქედან იმერეთის მდინარეების ენერგო-პოტენციალი შეადგენს 8-10 მლრდ კვტ სთ-ს. იმერეთში ამჟამად 5 ჰიდროელექტროსადგურია განლაგებული: რიონჰესი, გუმათჰესი, ვარციხჰესი, ძვერულაჰესი, შაორჰესი. მათი წლიური საპროექტო გამომუშავება შეადგენს 1968 მგვტ-ს. ასევე, მდ. რიონზე დაგეგმილი ნამახვანის კასკადის ჰესების სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 450 მგვტ-ია.



ჰიდრორესურსების სიუხვე, იმავდროულად, მრავალი მცირე (მინი) ჰესის აგებისა და ფუნქციონირების პირობებს ქმნის. დაინტერესების შემთხვევაში, იმერეთში შეიძლება აიგოს 9 მცირე ჰესი, რომელთა დადგმული საერთო სიმძლავრე 68 მგვტ-ია. ასაშენებელი პოტენციური მსხვილი ჰესებიდან აღსანიშნავია ნამახვანის კასკადები სხვადასხვა ადგილას მდ. რიონზე, რომლის სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 600 მგვტ-ია.

დაინტერესო პერსპექტივები იშლება იმერეთში ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის გაძლიერების მიმართულებით. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ნახშირის საბადოებით დიდი დაინტერესება გამოხატეს უცხოელმა ინვესტორებმა ნახშირიდან მეთანის მიღებასა და შემდგომში მის მრავალმხრივ გამოყენებასთან დაკავშირებით. ჩატარებულია საძიებო და დაზვერვითი სამუშაოები.

იმერეთს დიდი პერსპექტივა აქვს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. მხარე მდიდარია მინერალური წყლებით, ისტორიული და კულტურული ძეგლებით. ქ. ქუთაისი იმერეთის ტურიზმის განვითარების ცენტრად მოიაზრება, რაზეც დადებითად მოქმედებს ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივა და სახელმწიფო მხარდაჭერა. „ქუთაისის მეორე დედაქალაქად გადაქცევის პროექტი“ 2007 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით დაიწყო.

ამ პროცესის პერმანენტული განვითარების მთავარი ღონისძიება გახდა საქართველოს პარლამენტის განთავსების ადგილის განსაზღვრა ქ. ქუთაისში, ასევე სემეკის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს მთავრობისა და იუსტიციის სახლების, საგზაო დეპარტამენტის გადატანა ქუთაისში.

ამჟამად იმერეთში 53 საკურორტო და დასასვენებელი ბაზაა (საირმე, წყალტუბო, ნუნისი, სიმონეთი, სულორი, საწირე, ჭიათურის ხრეთი, სამტრედია, ზვარე, ამაღლება და სხვ.). მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- კურორტი წყალტუბო – მრავალპროფილიანი ბალნეოლოგიური კურორტი. განთქმულია თერმულ-რადიონული მინერალური წყლებით, რომელიც კურნავს სხვადასხვა სახის 60 დაავადებას;
- განსაკუთრებით აღსანიშნავია სათაფლიის ნაკრძალი წყალტუბოს ტერიტორიაზე (345 ჰა), სადაც არის როგორც კარსტული გამოქვაბული, ისე მსოფლიოში უნიკალური აღმოჩენა – დინოზავრის ნაკვალევი, ასევე აღსანიშნავია პრომეთეს მღვიმე, რომელიც ერთ-ერთი უმდიდრესია განზომილებით, მიწისქვეშა მდინარეების მნიშვნელობით და პეიზაჟის მრავალფეროვნებით. იგი წარმოადგენს დიდი მღვიმეების საერთაშორისო ტურისტულ მღვიმეს.

- უახლოეს მომავალში წყალტუბოში ჩამოყალიბდება სათამაშო ბიზნესის ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი შესაბამისი კომუნიკაციითა და ინფრასტრუქტურით. ამისათვის სახელმწიფომ მიიღო სპეციალური კანონი, რომლის მიხედვითაც სამორინეს მოწყობისათვის წყალტუბოს ტერიტორიაზე გაუქმებულია მოსაკრებელი.
- კურორტი საირმე მდებარეობს ზღვის დონიდან 915-950 მეტრ სიმაღლეზე, გარშემორტყმულია ფიჭვნარით, რაც უნიკალურ მიკროკლიმატს ქმნის. კურორტი ცნობილია მინერალური წყაროებით, რომლებიც მდინარე წაბლარის ნაპირებზეა განლაგებული;

მუზეუმებისა და ბუნებრივი ძეგლებიდან მიღებული შემოსავლები დღეისათვის მცირეა, რაც ასევე გამოწვეულია ბილეთის ფასის დაბალი ღირებულებით, ბუნებრივ ძეგლებს, მუზეუმებს არა აქვს იურიდიული სტატუსი. ისინი დამოუკიდებლად ვერ აწარმოებენ მარკეტინგულ გათვლებს, ნაკლებად ფიქრობენ შემოსავლის ზრდაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე და ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტის კმაყოფაზე არიან. ვერ ახდენენ ბუკლეტების, სპეციალური ლიტერატურის, სუვენირების რეალიზებას, შემოსავლების ზრდის სხვა ღონისძიებების ორგანიზებას.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით იგეგმება იმერეთის რეგიონის ტურიზმთან და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება. კერძოდ, განხორციელდება: წყალტუბოს ურბანული აღორძინების პროგრამა, ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაცია, გელათის მონასტრის, კაცხის ეკლესიის და კაცხის სვეტის, უბისის მონასტრის კულტურული მემკვიდრეობის ზონის კეთილმოწყობა.

ფაქტორული ანალიზი

ძლიერი მხარეები

- საფეიქრო და ტყავის ნაწარმის წარმოების მდიდარი ტრადიცია; საწარმოო ტექნიკური პერსონალის მდიდარი გამოცდილება; წამყვანი პოზიციები მეტალურგიულ წარმოებაში; სამშენებლო ინდუსტრიისათვის საჭირო მდიდარი რესურსული პოტენციალი, სამრეწველო პოტენციალისა და მდიდარი სასწავლო-სამეცნიერო ტრადიციების არსებობა; 100-ზე მეტი მინერალურ-სანედლეულო რესურსის საბადო; ტყის დიდი რესურსები და მერქნის წარმოება-გადამუშავების ტრადიციების არსებობა;
- რეკრეაციული ტურიზმი – ნუნისი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი); საირმე (ბაღდადის მუნიციპალიტეტი); წყალტუბო; სულორი (ვანის მუნიციპალიტეტი); სამოგზაურო ტურიზმი – მრავალფეროვანი ბუნება და უძველესი ისტორიულ-კულტურული ძეგლები – გელათის მონასტერი, მწყერის ციხე, ბუგჯის ციხე, ტაბაკინის მონასტერი, უბისა, კაცხის სვეტი, ასევე პრომეთეს მღვიმე;
- კარგად განვითარებული საბანკო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ქსელი; სასტუმროებისა და რესტორნების საკმაოდ ფართო ქსელი;
- ზოგადად, ქვეყანაში არსებული მიმზიდველი საინვესტიციო გარემო;
- სტაბილური საგადასახადო გარემო.

სუსტი მხარეები

- შრომითი რესურსების არასათანადო კვალიფიკაცია; გამოშვებული პროდუქციის სუსტი მარკეტინგი; მოძველებული საწარმოო-ტექნიკური ბაზა; რიგ მიმართულებებში სრული საწარმოო ციკლის არარსებობა და მხოლოდ ნედლეულის წარმოებაზე ორიენტაცია;
- ამ ეტაპზე არ არსებობს დეტალური მონაცემები სამუშაოს მაძიებლების გეოგრაფიის შესახებ, უმუშევართა კვალიფიკაციის და მათი დასაქმების შესაძლებლობათა შესახებ;
- ინვესტიციების არასაკმარისი მოცულობა; უცხოელი ტურისტების მოზიდვისადმი არასისტემური მიდგომა (მიზნობრივი ბაზრების ათვისების არგუმენტირებული სტრატეგიის არარსებობა); რეგიონის ტურისტული პოტენციალის არასაკმარისი ცნობადობა; სასტუმროების სიმცირე; ისტორიულ და ბუნებრივ ძეგლებთან, მუზეუმებთან და სახლ-მუზეუმებთან, კურორტებთან და

მსგავს ადგილებზე შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის (სველი წერტილების) სიმცირე; ისტორიული ძეგლებისათვის საკუთარი შემოსავლების არარსებობა.

შესაძლებლობები

- ხის მხატვრული დამუშავების მაღალი დონის სპეციალისტების არსებობა; ხის რესურსების გათვალისწინებით, საექსპორტოდ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა მაღალი სტანდარტის მქონე ბაზრებისათვის; ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალების (სიმცირე და დიდი მოთხოვნილება) პოპულარობა ქმნის კარგ საექსპორტო გარემოს აღნიშნულ სეგმენტში; მსუბუქი მრეწველობის სფეროში არსებული გამოცდილება და ტრადიცია; კერამიკული ნაწარმის წარმოება; ანტიკოროზიული ლაქსაღებავების, ლითონის, გრუნტებისა და ანტიკოროზიული კრონების წარმოების შესაძლებლობა. ცემენტის, აგურის, პროფილური ბლოკების წარმოების შესაძლებლობა; ლოჯისტიკური ცენტრის შექმნა.
- მზა საინვესტიციო პაკეტების მომზადება, მიზნობრივი ბაზრების ათვისების სტრატეგიასთან ერთად მისი შეთავაზება ინვესტორებისათვის; ახალი ტურისტული პოტენციალის მქონე ობიექტების მოძიება. კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტის განახლება ქმნის კარგ გარემოს ტურისტული ცენტრის ფორმირებისათვის;
- რეგიონის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, რაც დადებითად იმოქმედებს როგორც გარე, ისე შიდა ტურისტული ნაკადების ზრდაზე და რაც, თვის მხრივ, ხელს შეუწყობს ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნესების, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

საფრთხეები

- მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიგრაცია ან დეკვალიფიკაცია. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში მსგავსი საბადოების სიუხვე და მრავალფეროვნება არსებულ საწარმოთა არაკონკურენტუნარიანობა. მსუბუქ მრეწველობაში არსებული მზარდი კონკურენცია (თურქეთი და ჩინეთი); მსოფლიო ფინანსური კრიზისის უარყოფითი გავლენა სამშენებლო ინდუსტრიაზე;
- მსოფლიო ფინანსური კრიზისის უარყოფითი გავლენა, მათ შორის, ტურისტულ ინდუსტრიაზე (როგორც ვიზიტორების, ისე ტურისტულ ბიზნესზე, მათ შორის, სასტუმროები, რესტორნები და ა.შ.);
- მსოფლიო ფინანსური კრიზისის უარყოფითი გავლენა საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობაზე;

ბ) სოფლის მეურნეობა

იმერეთში მცხოვრებთა 60%-მდე პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო სექტორს. იმერეთისათვის სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული სურსათის წარმოება და სასურსათო ნედლეულის გადამამუშავება ეკონომიკის ტრადიციული სექტორი იყო. ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ დარგმა მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგა ბაზრები. ამასთან, 1991-1993 წლებში კატასტროფულად დაეცა სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება.

მეტად მრავალფეროვანია მხარის თვითმმართველი ერთეულების ნიადაგები, მათი გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, კლიმატი და მცენარეული საფარი განაპირობებენ ნიადაგის ხასიათს. უპირატესი გავრცელება აქვს: ალუვიურ, სუბტროპიკულ ეწერ ყვითელმიწა, წითელმიწა, ნეშომპალა-კარბონატულ და ყომრალ ნიადაგებს. მაღალმთიან რეგიონებში გვხვდება ღია გაეწრებული ტყის მურა ნიადაგებიც, ყვითელმიწა და თხელ ფენად წითელმიწა ნიადაგები. ორივე მათგანი გამოიყენება ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურის გასაშენებლად.

მიუხედავად ბევრი სირთულისა, აღნიშნულ სექტორში 1996 წლიდან მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა. თუმცა, სტრუქტურულად სასოფლო-სამეურნეო სექტორი კვლავ რჩებოდა მცირე დანაწევრების მიწის ნაკვეთებისაგან შემდგარ მთლიანობად, სადაც მცირე ფერმერები, რომელთა

განკარგულებაში იყო 1 ჰა-მდე მიწის ნაკვეთები, აწარმოებდნენ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, აგროსამრეწველო კომპლექსში არსებული კრიზისის შედეგად, მოიშალა სამელიორაციო სისტემები, დაზიანდა მრავალწლიანი ნარგავები, პრაქტიკულად შეწყდა ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების, მცენარეთა დაცვის, სასელექციო სამუშაოები, შემცირდა სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა.

რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებაზე არსებითი გავლენა მოახდინა სახელმწიფო ქონების, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და აგროგადამმუშავებელი საწარმოების პრივატიზებამ. საქართველოში მიწის რეფორმისა და მიწის იჯარის პროგრამის 1996 წლიდან განხორციელების შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 51% კერძო სექტორშია. აქედან ცალკეული სახეობების მიხედვით კერძო სექტორშია სახნავი მიწების 86%, მრავალწლიანი ნარგავების 80% და სათიბებისა და სამოვრების თითქმის 10%.

უკანასკნელ წლებში, აგროსექტორში მიმდინარე ცვლილებებმა, დადებით შედეგებთან ერთად შრომითი რესურსების დასაქმების რეალური შესაძლებლობა შექმნა. თუმცა, მიუხედავად ამისა, გლეხთა და ფერმერთა საქმიანობას ჯერ კიდევ აფერხებენ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: არასათანადოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა, სოფლად გადამმუშავებული საწარმოების უკმარისობა, სარწყავი და სადრენაჟო სისტემის მოშლა, მწელად ხელმისაწვდომი კრედიტები, სასოფლო-სამეურნეო საშუალებებზე (სარწყავი, შხამ-ქიმიკატები, სასუქი) მზარდი ფასები, სოფლად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჯერ კიდევ არასაკმარისი რაოდენობა, ბუნებრივი ფორსმაჟორული მოვლენებისაგან დაუცველობა და ა.შ.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, სულ უფრო მზარდი ხდება მწვანეების წარმოება და ექსპორტი. ამისათვის იმერეთში საუკეთესო პირობებია, არსებობს შესაბამისი ტრადიციები და ბუნებრივ-კლიმატური პირობები. ევროპისა და დსთ-ის სივრცეში მწვანეებზე პროდუქციაზე მაღალი მოთხოვნაა. 2010 წელს მწვანეების ექსპორტი გაიზარდა 4-ჯერ და 2.54 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. ძირითადად გადის შემდეგი ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრებზე: უკრაინის (43.5%), ბელარუსის (17.2%), აზერბაიჯანის (17%), ლატვიის (11.7%), ბულგარეთის (4.5%), მოლდოვას (2.7%), ესტონეთის (2.6%), რუმინეთის (0.5%), ლიტვის (0.4%) და უმნიშვნელო წილი უკავია პოლონეთსა და ჩეხეთს.

სამთავრობო პროგრამით „მეტი სარგებელი ხალხს – 2012-2016“ გათვალისწინებულია ყველა სოფლის წყალმომარაგება, გაზიფიკაციის პროგრამის გაგრძელება, სოფლამდე მისასვლელი გზების მოწესრიგება, საირიგაციო სამუშაოების გაფართოება. დამატებით იქნება შექმნილი ტრაქტორები, კომბაინები და აგრეგატები.

ფაქტორული ანალიზი

მლიერი მხარეები

- სუბტროპიკული კლიმატი. ხილვითი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურებისათვის სასურველი პირობები;
- დარგის სპეციალისტების არსებობა როგორც საწარმოო, ისე შინამეურნეობების დონეზე;
- სასათბურე მეურნეობის მდიდარი ტრადიციები;
- მცირე ფერმერული მეურნეობების ტრადიცია (მეფრინველეობა და მეცხოველეობა);
- გლობალური კრიზისის დადებითი გავლენა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასებზე;
- ხარისხიან პროდუქციაზე სტაბილურად მაღალი მოთხოვნა;
- სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების შესაბამისი სტრატეგიის არსებობა;
- რეგიონული და რაიონული სოფლის მეურნეობის სამსახურების ამოქმედება;
- ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და სოფლის მეურნეობის დარგში არსებული საგადასახადო შეღავათები;
- სასოფლო-სამეურნეო მიწების ყიდვა-გაყიდვისა და რეგისტრაციის პროცესის სიმარტივე;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისათვის ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმები;

- არასეზონური ზოსტენულის წარმოებისათვის გამოცდილება და ინფრასტრუქტურა;
- სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებული მექანიზაციისა და ფერმერთა საკონსულტაციო/ექსტენციის ცენტრების არსებობა (რეგიონში შეიქმნა ორი ცენტრი, რომელიც აღიჭურვება 100 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ნიადაგისა და მცენარის ანალიზის ლაბორატორიით).

სუსტი მხარეები

- შრომითი რესურსების კვალიფიკაციის ნაკლებობა და სიმცირე;
- რისკის მაღალი დონე და კაპიტალის სიმცირე დარგში;
- ინფრასტრუქტურის უკმარისობა (რეგიონის ზოგიერთ ნაწილში (სოფლებში) ბუნებრივი აირის მიწოდება, სარწყავი სისტემების მოწესრიგების საჭიროება და გზების არასახარბიელო მდგომარეობა);
- ფრაგმენტირებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები;
- თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ჯიშების ცოდნის დაბალი დონე;
- მცირემიწიანობა, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში;
- გადამმუშავებელი სიმძლავრეების სიმცირე;
- აგრარულ სესხებზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები;
- სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სისტემის განვითარების დაბალი დონე;
- წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (მათ შორის, გადამმუშავებული პროდუქციის) არაკონკურენტუნარიანობა ექსპორტის კუთხით.

შესაძლებლობები

- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების და გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და პროდუქტიულობის ამაღლება;
- შიდა ბაზრის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება;
- საკვები პროდუქტების ექსპორტი, საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით;
- ცხოვრების დონის მკვეთრი გაუმჯობესება;
- კომპიუტერული ცოდნის ამაღლება;
- რეგიონში ტურიზმის განვითარების კარგი პერსპექტივები, რაც თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე;
- არასეზონური პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის გამოცდილება;
- რეგიონის სტრატეგიული, გეოგრაფიული მდებარეობა ვაჭრობის კუთხით.

საფრთხეები

- მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში;
- ბუნებრივი კლიმატური კატაკლიზმების მაღალი ალბათობა (წყალდიდობა, უხვი ნალექი).

გ) სოციალური განვითარება

რეგიონული პრიორიტეტების წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული ამ პროცესში საუნივერსიტეტო და პროფესიული სასწავლებლების პოტენციალის ჩართულობაზე, როგორც დეფიციტურ სპეციალობებში (განსაკუთრებით ქვის მოპოვება-დამუშავება, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნიკა და ტექნოლოგია, ელექტროინჟინერია, მეტალურგია, ურბანისტიკა, ბიზნესის სტრატეგიული მართვა და სხვ.) კადრების მომზადება-გადამზადების, ისე ცალკეული ბიზნესპროექტების შემუშავების უნარ-ჩვევების გამომუშავების კუთხით.

ათწლეულების მანძილზე, ქალაქ ქუთაისში აკადემიური და პროფესიული კადრების გამოცდილი და კვალიფიციური შემადგენლობა ჩამოყალიბდა. ამჟამად იმერეთში ფუნქციონირებს 2

აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის უნივერსიტეტი, ასევე რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. უკანასკნელ წლებში, საქართველოში განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად, უმაღლესი და საშუალო პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა მართალია შემცირდა, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზარდა სწავლებისა და კადრების მომზადების ხარისხი.

თანამედროვე საერთაშორისო პირობებისა და ტენდენციების გათვალისწინებით, რეგიონის მნიშვნელოვან უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს იმერეთისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი დარგების (საფეიქრო მრეწველობა, ტყავ-ფეხსაცმლის წარმოება, კვების პროდუქტების წარმოება, მანქანათმშენებლობა, ტრანსპორტი, მომსახურება, სასტუმრო მეურნეობა და სხვ.) შრომითი რესურსის არსებობა და სიახვე. აღსანიშნავია, რომ საბჭოური სისტემის რღვევამ და შესაბამისად, საბჭოური ეკონომიკის მოშლამ, ხოლო შემდგომ ღია და ლიბერალური ეკონომიკის განვითარებამ ბაზარზე ახალი მოთხოვნები გააჩინა. არაკონკურენტული აღმოჩნდა ახალი გამოწვევების მიმართ როგორც ქვეყანაში არსებული წარმოების უმრავლესობა, ისე არსებული კადრები. მნიშვნელოვანია, შრომითი რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება და ასევე, გადამზადება, რაც სახელმწიფოს პრიორიტეტია, და რაც ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და დასაქმებას.

ქვეყნის სტრატეგიული გეოეკონომიკური უპირატესობის რეალიზაცია მნიშვნელოვანწილად ხდება იმერეთის მხარეში. საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი ფუნქციიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სატრანზიტო ფუნქცია, რის გამოც ახალი დატვირთვა შეიძინა იმერეთისა და ქუთაისის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ. თანამედროვე ეტაპზე, რეგიონი გვევლინება, როგორც დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფანი, ერთი მხრივ, ევროპასა და აზიის ქვეყნებს შორის და მეორე მხრივ – საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებს შორის.

იმერეთის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კოპიტნარში საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობის დაწყება. სამწუხაროდ, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომმა ნაწილობრივ შეაფერხა მისი განხორციელება. 2012 წელს დასრულდება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა.

გათვალისწინებულია, შეიქმნას ქუთაისის ლოჯისტიკური ცენტრი, რომელიც დააკავშირებს ქუთაისის ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონასთან. აეროპორტის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივ-კლიმატური პირობები მიზიდავს ხდის მას როგორც უცხოელთათვის, ისე იმერეთის მეზობელი რეგიონებისათვის.

იმერეთი უკავშირდება შავი ზღვის ნავსადგურებს, თბილისს, სხვა რეგიონებსა და ქვეყნებს არამარტო აეროპორტით, არამედ განვითარებული სარკინიგზო ქსელითაც. ამ მხრივ განსაკუთრებულია სამტრედიის სარკინიგზო კვანძის ფუნქციონირება. რეგიონის საავტომობილო კომუნიკაციებით ტერიტორიული ერთეულები უკავშირდებიან საქართველოს რეგიონებსა და სხვა სახელმწიფოებს.

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ამაღლების მიზნით აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნის განვითარება ქვეყნის მთავრობის მიერ გაცხადებული ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო მაგისტრალის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალ-ცალკე განიხილება აღნიშნული მაგისტრალის შემდეგი მონაკვეთები:

1. ზესტაფონი-ქუთაისის მონაკვეთი
2. ქუთაისის შემოვლითი გზა
3. ქუთაისის დასავლეთი – სამტრედია.



პროექტით დაცულია ტრანსევროპული საავტომობილო გზის საპროექტო ნორმები:

- სპეციალურად დაპროექტებული და აგებული საავტომობილო მოძრაობისათვის სხვა სახის მომსახურების გარეშე;
- გარდა სპეციალურად დადგენილი ადგილებისა ან დროებითი შეზღუდვისა, გზა უზრუნველყოფილი იქნება მოძრაობის ორი მიმართულების ცალკეული სავალი ზოლებით შუაში გამყოფი ზოლით (სარეზერვო ზოლით);
- გზის არც ერთი დონე არ გადაიკვეთება საავტომობილო, სარკინიგზო, ტრამვაისა და საფეხმავლო გზით;
- გზა აღიჭურვება საავტომობილო გზისათვის განკუთვნილი საგზაო ნიშნებით;
- გზა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სიგანის გვერდულებით ავარიული გაჩერებისთვის.

ყოველწლიურად, ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება გზების მშენებლობისა და გზის საფარის რეაბილიტაციისათვის. 2008-2011 წლებში მხოლოდ ქუთაისში ამ მიზნით 225,1 ათასი კვ.მ ასფალტის საფარი დაიგო, რისთვისაც 12,4 მლნ ლარი დაიხარჯა, ხოლო ხიდების რეაბილიტაციისათვის – 230 ათასი ლარი. ამავე პერიოდში, ქალაქის გარე განათებისათვის დაიხარჯა 6 მლნ ლარი, რითაც ქალაქის განათების მაჩვენებელი 91%-მდე ავიდა. სოციალური კეთილდღეობის კუთხით, აღსანიშნავია შემდეგი პროექტების განხორციელება:

- ▶ – გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი – 8 მლნ ლარი;
- ▶ – აღმაშენებლის გამზირის 1.5 კმ სიგრძის გამყოფი ზოლი – 1,2 მლნ ლარი;
- ▶ – ნინოშვილის ქუჩის სკვერი და „ხარაზოვის ბაღი“ – 1 მლნ ლარი;
- ▶ – მცირე სკვერების კეთილმოწყობა – 0,6 მლნ ლარი;



- ▶ – მწვანე საფარი – 0,25 მლნ ლარი;
- ▶ – მარტივი ტიპის მოედნები – 0,5 მლნ ლარი.
- ▶ 2012 წელს ქალაქის გამწვანების, სკვერების მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობის მიზნით თითქმის 1 მლნ ლარი დაიხარჯება.

ამავე მიმართულებას ემსახურება დაზიანებული სახურავებისა და ლიფტების შეკეთება. ამ უკანასკნელისათვის მხოლოდ 2009-2012 წლებში 2070 ათასი ლარი დაიხარჯა. ქუთაისში რესტავრაცია ჩაუტარდა 18 შენობას, მოხდა 10 შენობის რეკონსტრუქცია, შეიცვალა 4 მაღალსართულიანი შენობის ფასადი.

ქალაქის ისტორიული უბნის რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამისათვის 30 მლნ ლარი, ხოლო ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქციისათვის 3,1 მლნ ლარი – 3 147 000 ლარი დაიხარჯა.

საანალიზო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა სპორტული ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციასაც. ამ მხრივ განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია:

- – თანამედროვე სტანდარტების სპორტის სასახლის მშენებლობა ქუთაისში – 2, 9 მლნ ლარი;
- – ტორპედოს სტადიონის რეაბილიტაცია – 4,5 მლნ ლარი;
- – ახალი, ოლიმპიური სტანდარტების საცურაო აუზი ფიტნესდარბაზით – 1, 6 მლნ ლარი;
- – ყინულის მოედანი – 0,5 მლნ ლარი;
- – ჩოგბურთის კორტები – 0,77 მლნ ლარი;
- – სამტრედიის სპორტკომპლექსი (საცურაო აუზი, სტადიონი) – 1,5 მლნ ლარი;
- – თანამედროვე სტანდარტების სპორტის სასახლე წყალტუბოში – 1,4 მლნ ლარი;
- – თანამედროვე სტანდარტების სპორტის სასახლე თერჯოლაში – 1,3 მლნ ლარი.

განახლდა კულტურის შემდეგი ობიექტები:

- ❖ – მ. ბალანჩივაძის სახელობის ოპერის თეატრისა და საკონცერტო დარბაზის რეაბილიტაცია – 4,8 მლნ ლარი;
- ❖ – ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაცია – 1,65 მლნ ლარი;
- ❖ – კინოთეატრების – „რადიუმისა“ და „საქართველოს“ რეაბილიტაცია;
- ❖ – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი გადატანილ იქნა ეროვნული ბანკის შენობაში და მას დამატებით გადაეცა 450 კვ.მ ფართობი.

მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის კუთხით, რეგიონში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა. სულ, იმერეთში არის 98612 აბონენტი, საიდანაც 96,5% ფიზიკური პირია. წყალსადენის ქსელის საერთო სიგრძე 1001,7 კმ-ია, წყალარინები – 484,4 კმ. ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და აზიის განვითარების ბანკი (ADB) პროექტს ახორციელებენ ქ. ქუთაისში. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებიდან აღსანიშნავია ქუთაისის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონისა და ტყიბულის პროექტები. უახლოეს პერიოდში უწყვეტ წყალმომარაგებაზე გადავა წყალტუბო და ზესტაფონი. პროექტების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდათ წყლის სათავე ნაგებობებს, რეზერვუარებსა და სატუმბ სადგურებს. შეიცვალა ან შეცვლის პროცესშია წყალმომარაგების ქსელი. მხოლოდ ქუთაისში, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის 33 მლნ ლარი დაიხარჯა, შეიცვალა 142 კმ სიგრძის მილი, ყოველდღიურმა მიწოდებამ 5-6 საათს მიაღწია.

განსაკუთრებული აღმავლობით გამოირჩევა სამშენებლო სექტორი. ეს განპირობებულია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ფონდებიდან მსხვილი პროექტების განხორციელებით, ისე კერძო სექტორში სამშენებლო საქმიანობის აღმავლობით. ამ სექტორში პროდუქციის გამოშვება საშუალოდ წლიურად 39-42 მლნ ლარს შეადგენს. განსაკუთრებული იყო 2007 წელი, როცა ამ მაჩვენებელმა 65,1 მლნ ლარი შეადგინა. ამ სექტორში საშუალოდ 2-2,3 ათასი კაცია დასაქმებული.

ბოლო წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური ტრანსფერები (გამოთანაბრებითი, მიზნობრივი და სპეციალური), რამაც მკვეთრად გაზარდა საერთო შემოსულობები. თუკი 2003 წელს რეგიონის კონსოლიდირებულმა შემოსულობებმა 40,5 მლნ ლარი შეადგინა, 2007 წლისათვის იგი 90,1 მლნ ლარი გახდა, ხოლო 2011 წლისათვის – 120,9 მლნ ლარი (2009-2010 წლებში ბიუჯეტის მაღალი მაჩვენებლები საქართველოს პარლამენტის მშენებლობის თანხების ქუთაისის ბიუჯეტში ასახვამ გამოიწვია). მოსახლეობის უმნიშვნელო ცვლილების ფონზე ეს ნიშნავს, რომ სისტემატურად იზრდებოდა რეგიონის საბიუჯეტო შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. თუ იგი 2003 წელს 58,3 ლარს შეადგენდა, 2008 წელს 152,8 ლარი გახდა, ხოლო 2011 წელს 171,6 ლარით განისაზღვრა.

თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მიღებას. 2007-2011 წლებში ამ ფონდიდან რეგიონმა დაახლოებით 140 მლნ ლარი მიიღო, რომლის პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა ქ. ქუთაისის ცენტრალური ნაწილის რეაბილიტაცია, საქალაქო და შიდა სასოფლო გზების შეკეთება, ხიდ-ბოგირების მოწესრიგება, სპორტული ობიექტების, წყალსადენებისა და ღვარსადენების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სარწყავი არხების გაწმენდა და მათი ნაწილობრივი რეაბილიტაცია, გაზმომარაგების გაუმჯობესება, გარე განათება, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების სახურავების შეკეთება, ფასადების შეღებვა და ნაპირსამაგრი სამუშაოები.


სოციალურ-ეკონომიკური და საბინაო-კომუნალური სფეროების გაჯანსაღებისა და რეაბილიტაციის კუთხით გაწეულმა სამუშაოებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ხარჯების სტრუქტურა ბოლო 4-5 წლის განმავლობაში. 2011 წლის შედეგებით იმერეთის მხარის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები შემდეგნაირად განაწილდა: 1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 26.2%; 2. ეკონომიკური საქმიანობა – 11.9%; 3. საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 20.2%; 4. დასვენება, კულტურა და რელიგია – 16.7%; 5. განათლება – 10.0%; 6. ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა – 4.2%; 7. გარემოს დაცვა – 5,6%; სხვა დარგები – 5,2%.

ნიშანდობლივია, რომ ამჟამად, იმერეთში სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლეა 170 876 კაცი (მოსახლეობის 24,3%). დაზღვეულთა რაოდენობა 2012 წლის სექტემბრიდან 330 485 კაცს მიაღწევს (მოსახლეობის 46,9%).

ქუთაისის ბიუჯეტიდან მოსახლეობისათვის გაწეული დახმარებები
2008-2012 წლებში (ბენეფიციარი, 1 მაისის მდგომარეობით)

წელი	მატერიალური დახმარება	სამედიცინო დახმარება	მედიკამენტებით დახმარება	დასვენება	დახარჯული თანხა (ლარი)
2008	850	625	877	400	1450000
2009	900	650	955	400	1500000
2010	1150	847	1155	440	1650000
2011	1300	950	1400	460	1700000
2012	700	400	400	400	1950000

პენსიის დინამიკა 2002-2012 წლებში



რეგიონის სოციალური სფეროს გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს „მეტი სარგებელი ხალხს – 2012-2016“ სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები:

- ✓ ჯანმრთელობის დაზღვევა იქნება საპენსიო პაკეტის განუყოფელი ნაწილი;
- ✓ ყველა ბავშვს დაბადებიდან 5 წლის ჩათვლით ექნება საბავშვო დაზღვევა. ასევე, დაზღვეული იქნება ყველა მასწავლებელი, დევნილი, ჯარისკაცი და პოლიციელი;
- ✓ ყველა წარჩინებულ სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია;
- ✓ გაგრძელდება მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ გაცემა;
- ✓ სერტიფიცირებული მასწავლებლების საშუალო ხელფასი 600 ლარს მიაღწევს, ხოლო ამ კატეგორიის საუკეთესო 25% მიიღებს 1000 ლარს;

- ✓ ყველა დიდ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში, ყველა დასახლებულ პუნქტში იქნება ინტერნეტი;
- ✓ თითოეულ ოჯახს გადაეცემა ოთხწლიანი 1000-ლარიანი ვაუჩერი;
- ✓ 2013 წლიდან საპენსიო პაკეტი 100 დოლარის ეკვივალენტი გახდება.

ფაქტორული ანალიზი

ძლიერი მხარეები

- მდიდარი სასწავლო-სამეცნიერო ტრადიციები, კონკურენტუნარიანი და მზარდი საგანმანათლებლო სექტორი;
- კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი და მდიდარი სამედიცინო ტრადიციები; თანამედროვე კონკურენტუნარიანი კერძო კლინიკები;
- გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- საბინაო ინფრასტრუქტურის შეკეთების პროგრამები;
- მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის არსებობა 2006 წლიდან;
- ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში სოციალური დახმარებების მიზნით (გაჭირვებულთა მხარდაჭერა, შედიკამენტები, ოპერაციის თანადაფინანსება) თანხების გათვალისწინება.

სუსტი მხარეები

- რიგ პროფესიებში კვალიფიციური კადრების დეფიციტი;
- დაბალი შემოსავლები სოციალურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად;
- სამედიცინო სფეროში ტექნოლოგიებსა და პერსონალის კვალიფიკაციას შორის არსებული დისბალანსი;
- დაზღვევის კულტურის უკმარისობა;
- საბინაო ინფრასტრუქტურის მოძველება/ამორტიზებულიობა.

შესაძლებლობები

- საგანმანათლებლო სისტემის ევროპულ დონესთან მაქსიმალურად მიახლოების ტენდენცია;
- სამედიცინო სექტორში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილების დაგროვება; რეგიონში კონკურენტუნარიანი სამედიცინო სექტორის ფორმირება;
- მიზნობრივი ბაზრების მოძიება და მათი ათვისება;
- სატრანსპორტო მომსახურების სფეროში თანამედროვე, ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლე ხანდაზმულ პირთა რიცხოვნობის გაზრდა 2012 წლის სექტემბრიდან;
- კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა;
- ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო გზის მშენებლობა.

საფრთხეები

- საგანმანათლებლო სექტორიდან უმადლესი დონის სპეციალისტების გადინება;
- სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირების კონტროლის თანამედროვე ტექნოლოგიების არარსებობა (GPS და გაჩერებებზე კონკრეტული სვლა-გეზის ტრანსპორტის მოსვლის დროის მაჩვენებელი მონიტორები).

დ) ბუნებრივი რესურსების მართვა და გარემოს დაცვა

მდინარეების დაბინძურება

იმერეთის რეგიონი მდიდარია ზედაპირული წყლებით. მდინარეების წყლის ქიმიური შემადგენლობის მონიტორინგი ხორციელდება მდ. რიონზე, მდ. ყვირილასა და მდ. ოყასკურაზე. არსებული მონაცემების საფუძველზე, აღნიშნულ მდინარეთა წყლის ხარისხი უკეთესია 1990 წლამდე მონაცემებთან შედარებით. თუმცა ბოლო 5 წლის განმავლობაში გარკვეულ პერიოდებში შეინიშნება ცალკეული ელემენტების კონცენტრაციის 10-20%-ით ზრდა, კერძოდ, ბოიგენების და აზოტის მინერალური ფორმების კონცენტრაციის ზრდა; მიუხედავად ამისა აღნიშნული ნივთიერებების კონცენტრაცია ნორმის ფარგლებშია.

მდ. რიონსა და მის ფლორაზე გავლენას ახდენს მდინარის აუზში არსებული ჰესების (ლაჯანურჰესი, გუმათჰესი, რიონჰესი) პერიოდული გეგმური გარეცხვები.

მდ. რიონის დამაბინძურებელია ქ. ქუთაისში მდებარე ყოფილი ლითოფონის ქარხნის საწარმოო ნარჩენები, რომლებიც წლების მანძილზე დაგროვდა მდინარის სანაპირო ზოლში.

ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი ხორციელდება ქ. ქუთაისში (ჭავჭავაძის გამზირი) და ქ. ზესტაფონში (კვალითის დასახლება). მონიტორინგი ხორციელდება მტვერზე, CO, NO₂, NO, SO₂, დამატებით, ქ. ზესტაფონში ხორციელდება მანგანუმის დიოქსიდის განსაზღვრა.

იმერეთის ენერგორესურსები და მათი გამოყენება

იმერეთი მდიდარია ჰიდროენერგორესურსებით. საქართველოს ტერიტორიის ზედაპირული ჩამონადენის მთელი ენერჯიდან (228,5 მლრდ კვტ სთ) 72,1% ანუ 164,7 მლრდ კვტ სთ დასავლეთ საქართველოზე მოდის. მასში მნიშვნელოვანია იმერეთის წილი. კერძოდ, იმერეთის რეგიონის მთავარი მდინარეების (რიონი, ცხენისწყალი, შაორი, ტყიბულა) ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 8-10 მლრდ კვტ სთ-ს.

აღნიშნული რესურსები არასაკმარისადაა გამოყენებული. 2011 წელს იმერეთის ჰესებმა (ვარციხჰესების კასკადი, შაორჰესი, ძვერულაჰესი, გუმათჰესების კასკადი, რიონჰესი) გამოიმუშავეს 1654,1 მლნ კვტ სთ, ანუ არსებული ეკონომიკური ჰიდროენერგეტიკული რესურსების მხოლოდ 16%.

იმერეთი მდიდარია ნახშირის საბადოებითაც, რეგიონის ტერიტორიაზე ნახშირის სამრეწველო მარაგი დაახლოებით 339 მლნ ტონაა, რაც ქვანახშირის არსებული მთელი მარაგის 80%-ზე მეტია. მისი ათვისების მაჩვენებელი კი ერთობ დაბალია.

ნარჩენების მართვა

ნარჩენები, ზოგადად, გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროა. ნარჩენებით გარემოს დაბინძურება და მასთან დაკავშირებული საკითხები ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა რეგიონისათვის. იმერეთის რეგიონში საშუალოდ წლიურად წარმოიქმნება 490 ათასი მ³ საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

განსაკუთრებული პრობლემაა ნაგავსაყრელები. რეგიონის ტერიტორიაზე არსებულ არც ერთ ნაგავსაყრელს არ გააჩნია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ყველა ნაგავსაყრელზე ნარჩენები შედის ყოველგვარი დახარისხების გარეშე. საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად იქ ხვდება სამრეწველო, სამშენებლო და სხვა ნარჩენები.

ამჟამად, ნაგავსაყრელების მდგომარეობა არ პასუხობს გარემოსდაცვით, სანიტარიულ მოთხოვნებსა და ნორმებს. არ ხორციელდება გარემოს მონიტორინგი (წყალი, ჰაერი, ნიადაგი). ნაგავსაყრელების ნაწილი მდინარეების პირასაა განლაგებული, ამის გამო ატმოსფერული ნალექებისა და წყალდიდობის დროს ნარჩენები მდინარეში ირეცხება. ნაგავსაყრელები არ არის შემოღობილი და დაცული, რის შედეგადაც ადგილი აქვს ნაგავსაყრელების მთელ ტერიტორიაზე პირუტყვის

თავისუფალ გადაადგილებას.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოგროვებასა და ტრანსპორტირებას მუნიციპალიტეტები ახორციელებენ. სოფლებს არ გააჩნიათ ნაგავსაყრელები, ამდენად, მოსახლეობა, რომელიც დასუფთავების მომსახურების გარეშე დარჩენილი, ნარჩენებს მდინარეებში ან გზების პირას ყრის.

არ გამოიყენება ნარჩენების დახარისხებული შეგროვება, ორგანული ნარჩენების კომპოსტირება.

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დაფუძნება, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს საქართველოში არსებული ნაგავსაყრელების მოწესრიგება და თანდათანობითი კონსერვაცია, რითაც მაქსიმალურად შემცირდება მათი უარყოფითი გავლენა ადამიანებსა და გარემოზე.

ფლორა და ფაუნა

იმერეთის რეგიონი მდიდარია თავისი ფლორითა და ფაუნით. რეგიონში გავრცელებულია 11 სახეობის ძუძუმწოვარი ცხოველი, 50-მდე სახეობის ფრინველი, მათგან უმეტესობა მობინადრეა, ზოგი მომთაბარეა, ბევრი მათგანი კი მიმომფრენია. ასევე – ამფიბიების 8 სახეობა. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენს კავკასიური სალამანდრა, რომელიც შეტანილია საერთაშორისო „წითელ ნუსხაში“ და გადაშენების პირას არის მისული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კოლხური ხობობი, რომელიც ასევე შეტანილია „წითელ ნუსხაში“ და გადაშენების საფრთხის ქვეშ იმყოფება.

ბოლო წლებში რეგიონში აღინიშნება მგლების მომრავლება.

იმერეთის რეგიონში ორი ნაკრძალია (სათაფლიის ნაკრძალი და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ცენტრალური ზონა, რომელიც ნაკრძალს წარმოადგენს) და ორი აღკვეთილი (აჯამეთისა და სათაფლიის ტურისტული ზონა).

იმერეთის რეგიონი მდიდარია ფლორით, აქ ბევრი ენდემური და რელიქტური სახეობებია, კერძოდ, 70-მდე სახეობის მერქნიანი მცენარეები (ხეები და ბუჩქები), 500-მდე სახეობის ბალახოვანი მცენარეები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „წითელ წიგნში“ შეტანილი სახეობები: კოლხური ბზა, ურთხელი, ძელქვა, იმერეთის მუხა, კოლხური მუხა, კოლხური ჯონჯოლი, ძმერხლი, ხურმა, დაფნა, დათვის პანტა, კოლხური თხილი, კაკალი და სხვ.

ტყეების ჭრა მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა მის პოტენციალს, დამეწყების პროცესი უფრო სწრაფად ვითარდება, თუმცა, უკანასკნელ წლებში უფრო ნაკლები ტყე იჩეხება შემის დანიშნულებით, რაც აიხსნება მოსახლეობის გაზიფიკაციითა და შესაბამისი სამუშაოების ინტენსიურობით.

გარემოსდაცვითი სტრატეგიული დაგეგმარება

2005-2006 წლებში, პირველად საქართველოში, ქუთაისისათვის კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ შეიქმნა ქუთაისის ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა, რომლის შემუშავებაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები. არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მოხდა გარემოსდაცვითი პრიორიტეტების განსაზღვრა. გეგმა შეიცავს ღონისძიებათა კომპლექსს გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ქ. ქუთაისში.

ფაქტორული ანალიზი

ძლიერი მხარეები

- ჰიდრორესურსების, ნახშირის რესურსების და ენერჯის განახლებადი წყაროების (ქარის, მზის ენერჯია) სიმრავლე;
- მდიდარი ზედაპირული წყლების სიმრავლე;
- ფლორის, ენდემური და რელიქტური სახეობების სიმრავლე.

სუსტი მხარეები


- მდინარეების დაბინძურება საწარმო ნარჩენებით;
- ნაგავსაყრელების არასახარბიელო მდგომარეობა;
- მყარი ნარჩენების არაეფექტიანი მართვა.

შესაძლებლობები

- 2005-2006 წლებში, პირველად საქართველოში, ქუთაისისათვის კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ შეიქმნა ქუთაისის ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა. არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მოხდა გარემოსდაცვითი პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ნარჩენების დახარისხებული შეგროვების ხელშეწყობა და სხვადასხვა სისტემის დანერგვა ქ. ქუთაისში, საკურორტო ქალაქებში და ა.შ.;
- საწარმოო და სახიფათო ნარჩენების განთავსების უზრუნველყოფა;
- ნაგავსაყრელების მოწესრიგება და მათი გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირება;
- არსებული ნაგავსაყრელების უარყოფითი გავლენის შემცირება ადამიანებსა და გარემოზე შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ნაგავსაყრელების მოწესრიგებისა და თანდათანობითი კონსერვაციის მეშვეობით.

საფრთხეები

- მდინარეების დაბინძურება;
- სტიქიური და მეწყრული ზონების სიმრავლე;
- ეკოტოქსიკანტების (სამრეწველო საწარმოების) არსებობა რეგიონში;
- ეკომიგრანტების რიცხოვნობის მოსალოდნელი ზრდა;
- მცირე მდინარეების დაბინძურება საკანალიზაციო წყლებით, საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით;
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება.



იმერეთის რეგიონის ფაქტორული ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p>საფერო და ტყავის ნაწარმის წარმოებას მდიდარი ტრადიცია; საწარმო-ტექნიკური პერსონალის მდიდარი გამოცდილება; წამყვანი პოზიციები მეტალურგიულ წარმოებაში; სამშენებლო ინდუსტრიისათვის საქონი მდიდარი რესურსული პოტენციალი, სამრეწველო პოტენციალისა და მდიდარი სასწავლო-სამეცნიერო ტრადიციების არსებობა; ტყის დიდი რესურსები; რეკრეაციული და სამოგზაურო ტურიზმი; განვითარებული საბანკო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ქსელი; სასტუმროებისა და რესტორნების საკმაოდ ფართო ქსელი; ზოგადად, ქვეყანაში არსებული მრავალფეროვანი საინვესტიციო გარემო და სტატისტიკური საგადასახადო გაერგო; ხილულის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული, კულტურებისათვის სასურველი პირობები; დარგის სპეციალისტების არსებობა როგორც საწარმოო, ისე შინამეურნეობების დონეზე; სოფლის მეურნეობის განვითარების შესაბამისი სტრატეგიის არსებობა; რეგიონული და რაიონული სოფლის მეურნეობის სამსახურების ამოქმედება; მეცნიერებისა და ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების არსებობა; მდიდარი სასწავლო-სამეცნიერო ტრადიციები, მზარდი საგანმანათლებლო სექტორი; კვალიფიკური საბედიციონო პერსონალი და მდიდარი სამედიცინო ტრადიციები; გაუმჯობესებული სავაზო ინფრასტრუქტურა; ტერიტორიული ერთეულების ბაუჯეტებში სოციალური დახმარებების მიზნით თანხების გათვალისწინება; ფლორის, ენდემური და რელიქტური სახეობების სიმრავლე.</p>	<p>გამომწეებელი პროდუქციის სუსტი მარკეტინგი; მოძველებული საწარმო-ტექნიკური ბაზა; როგორც მძიმე ტვირთების სრული საწარმოო ციკლის არარსებობა და მხოლოდ ნედლეულის წარმოებაზე ორიენტაცია; დეტალური ბაზის არარსებობა საშუალოს მაძიებლებს გეოგრაფიისა და კვალიფიკაციის შესახებ; ინვესტიციების არასაკმარისი მოცულობა; უცხოელი ტურისტების მოზიდვისადმი არასისტემური მიდგომა; რეგიონის ტურიტული პოტენციალის არასაკმარისი ცნობადობა; სასტუმროების სიმცირე; ისტორიულ- და ბუნებრივ ძეგლებთან, მუზეუმებთან, სახლ-მუზეუმებთან, კურორტებთან შესაბამისი ტურიტული ინფრასტრუქტურის სიმცირე; რისკის მაღალი დონე და კაპიტალის სიმცირე დარგში; ინფრასტრუქტურის უკმარისობა; ფრაგმენტებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები; თანამედროვე ტექნოლოგიების და ჯიშების ცოდნის დაბალი დონე; სესხებზე, განსაკუთრებით აგარულზე, მაღალი საპროცენტო განაკვეთები; როგორც პროფესიულ კვალიფიციური კადრების დეფიციტი; დაბალი შემოსავლები სოციალურ საქმიანობათა დასაკმაყოფილებლად; მოძველებული საბინაო ინფრასტრუქტურა; მდინარეების დაბინძურება საწარმოო ნარჩენებით; ნაგავსაყრელების არასაბაზიზი მდგომარეობა; მცირე ხარჯების არაეფექტიანი მართვა.</p>
<p>შესამუშებო მხარეები</p> <p>ხის ნაწარმისა და მოსაპირკეთებელი მასალების საქსპორტოდ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება; მსუბუქი მრეწველობის სფეროში არსებული გამოცდილება და ტრადიცია; კერამიკული ნაწარმის წარმოება; ლაქსალბებებისა და ქიმიურ ნივთიერებათა, ცემენტის, აგურის, პროფილური ბლოკების წარმოების შესაძლებლობა. ლოჯისტიკური ცენტრის შექმნა; შუა საინვესტიციო პაკეტების მომზადება; პოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტის განახლება; რეგიონის ტურიტული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება; სოფლის მეურნეობის პროფილადი წარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და პროდუქტიულობის ამაღლება; შიდა ბაზრის მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილება; საკვები პროდუქტების ექსპორტი; კომპიუტერული ცოდნის ამაღლება; არასეზონური პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის გამოცდილება; ვაჭრობის კუთხით, რეგიონის სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა; ზესტაფინი-ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო გზის მშენებლობა; გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის არსებობა და რეალიზაცია.</p>	<p>საფრთხეები</p> <p>მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მფარაცია ან დეკვალიფიკაცია; არსებულ საწარმოთა დაბალი კონკურენტუნარიანობა. მსუბუქ მრეწველობაში არსებული მზარდი კონკურენცია (განსაკუთრებით, თურქეთი და ჩინეთი); მსოფლიო ფინანსური კრიზისის უარყოფითი გავლენა სამშენებლო და ტურისტულ ინდუსტრიაზე; ბუნებრივი კლიმატური კატაკლიზმების მაღალი ალბათობა; სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირების კონსერვაციის თანამედროვე ტექნოლოგიების არარსებობა; მდინარეებისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება; სტიქიური და მექანიკური ზონების სიმრავლე; კოორდინაციის (სამრეწველო საწარმოების) არსებობა რეგიონში; კომპერანტების რიცხოვნობის მოსალოდნელი ზრდა.</p>

4. რეგიონის განვითარების ხედვა, მიზნები, პრიორიტეტები და განვითარების წინადადებები

4.1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

რეგიონისათვის მნიშვნელოვანია თიზ-ის პერსპექტივები. 2012 წლის ბოლომდე თიზ-ში:

- გაიხსნება ნათურების მწარმოებელი ქარხანა;
- ორი ქიმიური ქარხანა სამშენებლო პოლესტერინის და პოლივინილქლორიდის მწარმოებელი;
- სანტექნიკური მოწყობილობების მწარმოებელი ქარხანა;
- მაცივრების მწარმოებელი ქარხანა;
- სააგარაკო სახლების კონსტრუქციების სამშენებლო მასალების მწარმოებელი ქარხანა.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნაწარმოები პროდუქცია დსთ-ს 10 ქვეყანაში გადის ექსპორტზე. მომდევნო 1,5-2 წელიწადში მნიშვნელოვანი ინვესტიციების რეალიზაცია მოხდება. ამ პროექტით ქუთაისის მითითებულ ზონაში, საერთო ანგარიშით, რამდენიმე ათასი კაცი დასაქმდება. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირებასა და მასში ახალი ინვესტიციების შემოსვლას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა.

4.2. სატრანსპორტო კომუნიკაციები და საერთაშორისო გადაზიდვები

ქვეყნის სტრატეგიული გეოეკონომიკური უპირატესობის რეალიზაცია მნიშვნელოვანწილად ხდება იმერეთის მხარეში. საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი ფუნქციიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სატრანზიტო ფუნქცია, რის გამოც ახალი დატვირთვა შეიძინა იმერეთის და ქ. ქუთაისის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ. თანამედროვე ეტაპზე რეგიონი გვევლინება, როგორც დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფანი, ერთი მხრივ ევროპასა და აზიის ქვეყნებს შორის და მეორე მხრივ, საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებს შორის.

აღნიშნული პრიორიტეტი ეფუძნება: კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტის ფუნქციონირებას, სამტრედიის სარკინიგზო კვანძს, ზესტაფონი-სამტრედიის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობას.

შემოვლითი სატრანსპორტო მოძრაობის პროგნოზირება

მონაკვეთი წელი	ზესტაფონის შემოვლითი გზა	ქუთაისის შემოვლითი გზა	ზესტაფონი-სამტრედიის საავტომობილო გზა
2007	5,026	5,067	3,873
2010	6,699	6,675	5,102
2015	9,632	9,438	7,214
2020	12,710	2,286	9,391
2025	15,796	15,105	11,545
2030	19,568	18,505	14,144

წყარო: JBIK კვლევის ჯგუფი

4.3. მეტალურგია და ლითონგადამამუშავებელი წარმოება

სამრეწველო სექტორში მნიშვნელოვან როლს ასრულებს „ჯორჯიან მანგანუმი“ (ჭიათურის მანგანუმის ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და ვარციხის ჰესის კასკადი). ბოლო პერიოდში აქ 130 მლნ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, გარემონტდა რამდენიმე ღუმელი და გაიხსნა

დამფასოებელი ხაზი. აქ დასაქმებულია 7,0 ათასი კაცი, და კომპანია აწარმოებს იმერეთის სამრეწველო პროდუქციის 60%-ზე მეტს.

ქუთაისში 2009 წლიდან ფუნქციონირებს მეტალურგიული ქარხანა (შპს „ევრაზიან სტილი“), რომელიც ქართულ-ინდური ინვესტიციით (საერთო მოცულობა 48 მლნ დოლარი) შეიქმნა. აწარმოებს სამშენებლო არმატურას 8 000 ტონას – წლის მანძილზე. ამ დროისათვის ჩადებული იყო 30 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია. პროდუქცია ადგილობრივი ნედლეულის – ჯართის გადამუშავებით მიიღება. შპს „ევრაზიან სტილის“ პროდუქციის მოთხოვნა როგორც შიდა, ისე საექსპორტო ბაზარზეც მაღალია. ქარხანაში დასაქმებულია 640 ადამიანი. ქარხანა გასვლას იწყებს ევროპულ ბაზარზე, რისთვისაც ამუშავებს არმატურას სეისმურად აქტიური ზონებისათვის. 2012 წელს ინდური მხარის მიერ დამატებით ჩაიდო 15 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია და იგეგმება უახლესი დაზგა-დანადგარების შემოტანა და დამონტაჟება (უწყვეტი დნობის დანადგარი), რაც ქარხანას საშუალებას მისცემს დაასაქმოს 2200 კაცი (ადგილობრივი მუშახელი) და ყოველთვიურად აწარმოოს 4 000 ტონა სამშენებლო არმატურა.

4.4. ნახშირის მოპოვება-გადამუშავება

ნახშირის მრეწველობის განვითარება მრეწველობის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. დარგის აღმავლობა ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცებას.

ტყიბულის საბადოზე, არსებული გათვლებით, საორიენტაციოდ, 330 მილიონი ტონა ნახშირის დეპოზიტია განთავსებული.

2006 წლიდან კომპანია „საქნახშირმა („ჯი-აი-ჯი“ ჯგუფი)“ დაიწყო ნახშირმოპოვებელი დარგის აღორძინება საქართველოში. „საქნახშირის“ მიერ გაწეული სამუშაოების შედეგად განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კაპიტალურად შეკეთდა და აღდგა დატბორილი გვირაბები, მომზადდა ახალი ამოსადები ველები, აღდგა ზედაპირული კომპლექსი, მთლიანად გადაიხურა სარკინიგზო მაგისტრალი, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ზედაპირულ ყველა შენობა ნაგებობას. დასაქმებულთა რაოდენობა 400 კაციდან 1000 კაცამდე გაიზარდა.

ფაბრიკის მშენებლობის მიზანი იყო დაბალნაცრიანი მაღალკალორიული პროდუქციის გამოშვება და პროდუქციის ხარისხის გაზრდით მომხმარებლის მოზიდვა, რითაც დამატებით დაიტვირთება რკინიგზა. ფაბრიკის წარმადობაა 150 ტონა/საათში.

4.5. გრანიტის, გამარმარილოებული მოსაპირკეთებელი ქვებისა და ფილების წარმოება

სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების მაღალი ტემპების გათვალისწინებით დიდია მოთხოვნა გრანიტის (ტეშენიტის) ქვებზე (მოსაპირკეთებელი ფილა), რომელსაც ადგილობრივი მიწოდება ვერ აკმაყოფილებს. ამჟამად, აღნიშნული ნედლეული ფართოდ გამოიყენება ისტორიული ქალაქების – ქუთაისის, თბილისის, სიღნაღის სარეაბილიტაციოდ. უახლოეს მომავალში მოთხოვნა გაიზრდება სხვა ქალაქების ხარჯზეც. ქვის ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით სავსებით რეალურად გვესახება ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ორგანიზება.

ტყიბულში მათი მარაგები დაახლოებით 3,1 მლნ მ³-ია (მ.შ, კურსები – 1,5 მლნ, ლოლაშენი – 1,6 მლნ), წყალტუბოში (ოფურჩხეთის) დაახლოებით 3,0 მლნ მ³.

ასევე მოცულობითია ეკლარასა (16,6 მლნ ტონა) და გელათის (1,6 მლნ. მ³) ქვის საბადოებიც, რაც ადგილობრივი წარმოების განვითარების რეალურ შესაძლებლობებს წარმოშობს.

დარგის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქუთაისის ინდუსტრიულ ზონაში შესაბამისი პროფილის კომპანიების შექმნა და ფუნქციონირება.

4.6. ავეჯის წარმოება

იმერეთი ტყის რესურსებით მდიდარი რეგიონია, რაც განსაკუთრებით კარგ პირობებს ქმნის ავეჯის წარმოებისა და ხის გადამამუშავებელი საწარმოების წარმატებული ფუნქციონირებისათვის. იმერეთის ტყის ფონდის საერთო ფართობი შეადგენს 354,0 ათას ჰექტარს, რომელთაგან 342,0 ათასი ტყითაა დაფარული. ტყის სამრეწველო ჭრა 4059 ჰექტარზე 91031 მ³-ს შეადგენს.

ტყით დაფარულ ფართობებზე ყველაზე გავრცელებული ჯიშებია: მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, წაბლი, ძელქვა, აკაცია, ევკალიპტი და ა.შ.

ქვეყანაში ახალი მშენებლობების მაღალი ტემპების შედეგად იზრდება მოთხოვნა საავეჯო ნაწარმზე: დიქტი, ფანერი, ლამინატი, პარკეტი, კარ-ფანჯარა, მზა ავეჯი, სხვადასხვა დგამები და ა.შ.

4.7. ქიმიური მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარება

იმერეთის რეგიონისათვის დამახასიათებელი იყო ქიმიური მრეწველობის საწარმოების წარმატებული ფუნქციონირებაც. ამჟამად, ბიზნესაქტივობის ზრდისა და ეკონომიკური განვითარების კვალობაზე მნიშვნელოვნად იმატებს მოთხოვნა ქიმიური მრეწველობის პროდუქციაზე.

განვითარებადი სამშენებლო ინდუსტრიის ფონზე მაღალია მოთხოვნა: ა) ანტიკოროზიულ ლაქ-საღებავებზე, რომელსაც მხოლოდ უმნიშვნელოდ აკმაყოფილებს ადგილობრივი წარმოება; ბ) ლითოფონზე, როგორც ხის ნაწარმის დამცავ საშუალებაზე; გ) გრუნტებზე და ანტიკოროზიულ კრონებზე.

სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებიდან გამომდინარე მაღალია სეზონური მოთხოვნა შაბიამანზე. აღნიშნული სფეროს ადგილობრივი საწარმოებიდან გამოირჩევა ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, რომელსაც საკუთრებაში აქვს 157,8 ათასი მ² მიწის ფართობი.

ლითოფონის ქარხნის ძირითადი ფონდები და საწარმოო სიმძლავრეები მნიშვნელოვანწილად შენარჩუნებულია. ინვესტიციების მოზიდვისა და გასაღების ახალ ბაზრებზე შეღწევის შემთხვევაში შესაძლებელია წარმოებულ იქნეს: საღებავები და გრუნტები, ანტიკოროზიული კრონები, შემავსებლები და დაფქული მანგანუმის დიოქსიდი, სპილენძის შაბიამანი და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქარხნის მიერ წარმოებული ანტიკოროზიული საღებავების და გრუნტების გამოყენება ნაწილობრივ ამჟამადაც ხდება. მაგალითად, ყულევის ტერმინალის სარემონტო სამუშაოების დროს „ლითოფონის“ ქარხნის მიერ წარმოებული გრუნტი არის გამოყენებული 500,0 ათას მ²-ზე, ლითოფონის საღებავებით იღებება სამგზავრო, და ნაწილობრივ, სატვირთო მატარებლები.

4.8. თიხნარი მიწებისა და მინერალური ქანების მოპოვება-დამუშავება

იმერეთის რეგიონი მდიდარია სამშენებლო ინდუსტრიისათვის საჭირო რესურსული პოტენციალით. მათ შორის აღსანიშნავია – თიხნარი მიწები და მინერალური ქანები, რომელთა ბაზაზე შესაძლებელია სამშენებლო მასალების (აგური, ბლოკი, მოსაპირკეთებელი ფილები, მეთლახი, კაფელი, კალციტი, ცარცის პუდრი და სხვ.) წარმოების ორგანიზება.

უკანასკნელ წლებში ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით სამშენებლო სამუშაოთა ინტენსივობა, აღნიშნულ მასალებსა და პროდუქტებზე მოთხოვნა (როგორც რაოდენობრივ, ისე საფასო გამოხატულებაში) მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

აღსანიშნავია, რომ მზარდი მოთხოვნის დაფარვა ხდება ფაქტობრივად მხოლოდ იმპორტირებული პროდუქციის მიწოდებით, რადგან მსგავსი ტიპის არც ერთი ადგილობრივი საწარმო აღარ ფუნქციონირებს, გარდა კასპისა. ამ უკანასკნელის საწარმო სიმძლავრეები არსებული მოთხოვნის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

მეთლახის, კაფელისა და ანალოგიური პროდუქციის წარმოებისათვის იმერეთში არსებობს შემდეგი სანედლეულო ბაზა:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი:

- არგვეთის სააგურე თიხის საბადო მარაგი – 160 ათასი მ³ და ბოსლევის სააგურე თიხის საბადო მარაგი – 870 ათასი მ³;
- შრომის ცეცხლგამძლე თიხების დიდი მოცულობის გამოვლინება – მარაგი პროგნოზით 1 მლნ ტონა;

თერჯოლის მუნიციპალიტეტი:

- ჩხარის სააგურე (150) თიხის საბადო – 405 ათასი მ³;

საჩხერის მუნიციპალიტეტი:

- პერევის კერამიკული თიხის და ლაშურის სააგურე (175 მარკის) თიხის საბადო. მარაგი 6,9 მლნ მ³;

სამტრედიის მუნიციპალიტეტი:

- ბარძენარის თიხის III საბადო (სააგურე) მარაგი – 420 ათასი მ³;
- ბუკნარის თიხის II საბადო (სააგურე) მარაგი – 1,9 მლნ მ³;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი:

- უკანეთის თიხის საბადო (სადგურ „ბროწეულას“ სამხრეთ-დასავლეთით 1,5 კმ-ზე) – 343 ათასი მ³;

ხონის მუნიციპალიტეტი:

- ხონის თიხის საბადო – 128 ათასი მ³.
- „დედალაურის“ კირქვის (საკედლე ბლოკი) საბადო – 496 ათასი მ³;

4.9. ტექნოლოგიური ტრანსფერის და ინტელექტუალური მომსახურების ცენტრის შექმნა

ჩვენს პირობებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტექნოლოგიური ტრანსფერისა და ინტელექტუალური მომსახურების ცენტრის შექმნა ქ. ქუთაისის უნივერსიტეტების ბაზაზე. ამ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს გააჩნიათ პროფესიული ტექნიკური ბაზა.

უმაღლესი სკოლის სამეცნიერო პოტენციალისა და წარმოებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი შესაძლებლობას იძლევა გადაიჭრას შემდგომი ამოცანები:

1. მცირე ინოვაციური საწარმოების რაოდენობის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს წარმოებაში სამეცნიერო მიღწევების დანერგვას.

2. უმაღლესი სასწავლებლები დამატებითი შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს შეიძენენ.

3. შეიქმნება შესაძლებლობა, რომ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა საწარმო და პროფესიული პრაქტიკა გაიარონ ამ სექტორში.

4.10. სამედიცინო ტურიზმის განვითარების პერსპექტივა

ქუთაისში 2006 წლიდან ფუნქციონირებს თანამედროვე დონის მრავალპროფილიანი კლინიკა – დასავლეთ საქართველოს ეროვნული სამედიცინო ცენტრი. იგი დღეს ევროპის ერთ-ერთი წამყვანი სამკურნალო დაწესებულებაა.

მეზობელ ქვეყნებზე გაცილებით ადრე ცენტრში დამონტაჟდა ულტრათანამედროვე სამედიცინო აპარატურა. აქ ერთი წლის განმავლობაში ტარდება 4000-მდე ფართომასშტაბიანი ქირურგიული ოპერაცია, ხოლო ამბულატორიულ პაციენტთა რიცხვი 38 000-ს აღწევს.

ეროვნულმა სამედიცინო ცენტრმა, პირველად საქართველოში, შეძლო სამედიცინო ტურიზმის განვითარება. კერძოდ, უცხოურ სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობის შედეგად, ქუთაისში მკურნალობენ პაციენტები აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, გერმანიიდან, შოტლანდიიდან, ესტონეთიდან, უკრაინიდან და ფილიპინებიდან. კლინიკაში ტარდება უნიკალური მაღალტექნოლოგიური პროცედურები და ოპერაციები.

იმერეთის ტურისტული პროდუქტების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას კურორტები და გამაჯანსაღებელი ზონები წარმოადგენენ. რეგიონის ლამაზი ლანდშაფტი, სამკურნალო მინერალური წყლები ბალნეოლოგიურ კურორტებს მიმზიდველს ხდის დამსვენებელთათვის.

იმერეთს წამყვანი ადგილი უჭირავს საქართველოს რეკრეაციულ სისტემაში. მხედველობაშია უნიკალური ბუნებრივი და ჰიდრომინერალური რესურსები – მინერალური წყლების სახით. სამკურნალო წყლებიდან გამოიყოფა წყალტუბო, საირმე – ბაღდათის რაიონში, ნუნისი – ხარაგაულში, სულორი – ვანში, ასევე საჩხერის სხვადასხვა მინერალური წყაროები. დიდი რაოდენობითაა თერმული წყლების მარაგი, რომლის გამოყენებას სათბობის დიდი ეკონომიის მოცემა შეუძლია.

4.11. აღმოჩენითი, სათავგადასავლო და რელიგიური ტურიზმი

ყველა სახელმწიფოში ტურიზმის მართვა ხორციელდება სახელმწიფო გრანტების (მიზნობრივი პროგრამების) საშუალებით, ეს გამოცდილება ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში კერძო სტრუქტურების ჩართვის თვალსაზრისით.

იმერეთში განთავსებულია მდგრადი **აღმოჩენითი და სათავგადასავლო ტურიზმის** სახეები. ამის საშუალებას იძლევა მთისა და ტყის მასივები, რომელსაც 250,0 ათასი ჰა ფართობი უჭირავს. ესენია: სამთო-ქვეითი, სამთო-საცხენოსნო, სპალეო-ტურიზმი, ეკოტურიზმი, რაფტინგი მდინარე რიონზე.

იმერეთისათვის, როგორც დიდი ისტორიული წარსულის მქონე მხარისათვის, ტურიზმის ახალი და საინტერესო მიმართულებაა **რელიგიური ტურიზმი**. გაეროს მონაცემებით, 2007 წელს 896,0 მლნ საერთაშორისო ტურისტიდან დაახლოებით 300,0 მლნ მომლოცველი იყო. 2006 წლიდან ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ რელიგიური ტურიზმი აღიარებულია დამოუკიდებელ სფეროდ. იმერეთის ტერიტორია, ისე როგორც მთელი საქართველო, ანტიკური, გვიანი და ადრექრისტიანული ხანის ისტორიულ-კულტურული ძეგლებითაა წარმოდგენილი. თითოეული მათგანი ტურისტული ჯგუფებისა და სპეციალისტებისათვის ამოუწურავ მარაგს წარმოადგენენ. მარტო იმერეთის მხარეში 250-ზე მეტი ასეთი ძეგლია.

ახლო მომავალში გასატარებელი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

– მუზეუმების, სახლ-მუზეუმების, ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების იურიდიული სტატუსის განსაზღვრა;


– თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტებში მაგისტრალურ ტრასებზე მოსაწესრიგებელია ტოპონიმების, ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების აღმნიშვნელი (მიმართულების მიმანიშნებელი) ფირნიშების, აბრების დამონტაჟების საკითხი;

– თეატრებს, მუზეუმებს, სალონებს, საზოგადო მოღვაწეთა ძეგლებს თუ მსგავსი პროფილის დაწესებულებებს ქალაქებში არა აქვს სათანადო წარწერა.

4.12. სასათბურე მეურნეობების ხელშეწყობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 12 ათასამდე სასათბურე მეურნეობაა ორგანიზებული, არსებული მიწოდება სრულად ვერ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნას. მარტო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (გეგუთი, პატრიკეთი, ტყაჩირი, ოფშკვითი, მუხიანი, ქვიტირი, მესხეთი, ფარცხანაყანები) 5 500 მცირე და საშუალო ფერმერს 25 000 ტონამდე მწვანილი მოჰყავს.

მიუხედავად რუსეთის ბლოკადისა და 2006 წელს ბრუნვის გარკვეული შემცირებისა, 2007 წელს მეწარმეებმა მონახეს პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრები. მარტო უკრაინაში ქართულმა მწვანილმა ბაზრის 70% დაიკავა. აღნიშნულ სოფლებში უკვე მოქმედებს მწვანილის მიმღები და შესაფუთი რამდენიმე ცენტრი. მაგალითად, სოფელ ქვიტირში მოქმედებს პუნქტი „ქართული მწვანილი“. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ სოფლებში მცირეა მოსახლეობის ემიგრაცია. პირიქით, ეს სოფლები ტყიბულელ, ხარაგაულელ, ჭიათურელ და ხონელ ასეულობით ადამიანს აძლევს სამუშაოს სასათბურე მეურნეობებში. აქ გაჩნდა კერძო სასტუმროები, სადაც სხვა მუნიციპალიტეტებიდან სამუშაოდ ჩამოსულები ცხოვრობენ. რეალურად ჩამოთვლილ სოფლებში ყალიბდება ახალი, თანამედროვე ტიპის ფერმერები.



4.13. გადამმუშავებელი წარმოების განვითარება

ქუთაისის მიმდებარე მუნიციპალიტეტებში მდიდარი სანედლეულო ბაზაა მცირე გადამმუშავებელი საწარმოების ფუნქციონირებისათვის, რაც რენტაბელური იქნება იაფი ნედლეულისა და მუშახელის გათვალისწინებით (ნატურალური ხილეული წყლების, წვენების, ჯემების, ტომატის დამზადება, ჩაის წარმოება და ა.შ). ხილის წარმოება იმერეთში შეადგენს 30,0 ათას ტონას. მათ შორის: თესლოვანი ხილი – 9,0 ათას ტონას; კურკოვანი ხილი – 10,0 ათას ტონას; კაკლოვანი – 6,0 ათას ტონას; სუბტროპიკული – 4,0 ათას ტონას; კენკროვანი – 1,0 ათას ტონას (იხ. დიაგრამა).

ახლო მომავალში განსაზღვრულია ზესტაფონსა და სამტრედიაში საკონსულტაციო და მექანიზაციის სერვისცენტრის აშენება და ტრაქტორებისა და მისაბმელების შექმნა, ასევე, მარცვლეულის წარმოების ხელშეწყობა (სამტრედია, წყალტუბო, ვანი, ხონი, ზესტაფონი) და მეღორეობის კომპლექსის აგება. სამტრედიაში განსაზღვრულია სარწყავი სისტემით ბოსტნეულის სადემონსტრაციო წარმოება. დასახელებული ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონში გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარებას.

4.14. იმერეთში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ლოჯისტიკური ცენტრის ფორმირება დასავლეთ საქართველოსათვის

ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო მაგისტრალის დატვირთვის გათვალისწინებით, შესაძლებელია შეიქმნას ლოჯისტიკური ცენტრი, რომელიც დასავლეთ საქართველოს მოემსახურება. თანამედროვე ტექნიკით და მაცივარ-დანადგარებით აღჭურვილი ასეთი ცენტრი ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მათ შორის, მალფუჭებადი პროდუქციის (სოკო, კარტოფილი, მწვანილი, ვაშლი, ყურძენი და სხვ.) შენახვას და უტილიზაციას (აღნიშნული პროექტი დამუშავებულია იაპონიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ).

4.15. ქართული ტრადიციული ნაწარმისა და ეროვნული სუვენირების დამზადება

საქართველოს საგარეო ურთიერთობების გაფართოების, ტურისტული ბიზნესის გააქტიურებისა და ტურისტული ნაკადების ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად იმატებს მოთხოვნა ქართულ ეროვნულ საიუველირო ნაწარმზე, ტანსაცმელზე, სუვენირებზე, ილუსტრირებულ გამოცემებზე, ვიდეო-, აუდიო- და ფოტომასალებზე, რუკებზე, საინფორმაციო ბუკლეტებზე, ბიზნესმეგზურებზე და ა.შ.

აღნიშნული ტიპის საქმიანობა ძირითადად არაორგანიზებულ ხასიათს ატარებს. სათანადო ინვესტიციების, ტექნიკური აღჭურვისა და კადრების გადამზადების შემთხვევაში, არსებული მოთხოვნის ფონზე, შესაძლებელია ბაზარზე რამდენიმე წარმატებული მცირე საწარმოს ფუნქციონირება.

რეგიონში (ტყიბულის მუნიციპალიტეტი) შესაძლებელია ბუნებრივი და მეორადი გიშრის მოპოვება-გადამუშავება, რომელიც ამჟამად ძირითადად კუსტარულად და სტიქიურად ხდება. მსოფლიო ბაზარზე ძვირფას ლითონებსა და საიუველირო ნაწარმზე მზარდი ფასები განაპირობებს გიშრის წარმოების გაფართოების და შესაბამისი კაპიტალდაბანდებების განხორციელების სტიმულირების შესაძლებლობას.

4.16. ჩაის წარმოება

იმერეთის რეგიონს დიდი ტრადიციები გააჩნია ჩაის წარმოებაში. რამდენიმე ათეული წლის წინ აღნიშნული დარგი განვითარებული იყო წყალტუბოს, ხონის, ტყიბულის ტერიტორიულ ერთეულებში. მიმდინარე ეტაპზე, იმერეთში იწარმოება 2000 ტონამდე დაახლოებით 400,0 ათასი ლარის ღირებულების პროდუქცია. წარმოებული ჩაის ასორტიმენტი საკმაოდ მრავალფეროვანია და იგი წარმოდგენილია ისეთი სორტებით, როგორებიცაა: შწვანე ჩაი, შავი ჩაი, ჩაი ბაიხაო შწვანე და შავი, ელიტარული ჩაი და სხვ.

ამჟამად მოქმედი ჩაის საწარმოებიდან აღსანიშნავია შპს „თერნალი ჩაი“ (წყალტუბოს მუნიციპალიტეტში) შპს „ალექსანდრე“ და შპს „არგო 2003“ (ხონის მუნიციპალიტეტში), შპს ტყიბულის ჩაის ფაბრიკა (ტყიბულის მუნიციპალიტეტში) და სხვ.

4.17. თანამედროვე ორგანიზებული სავაჭრო ქსელების განვითარება

მიმდინარე ეტაპზე, იმერეთში ვაჭრობა მნიშვნელოვანწილად ხორციელდება მოძველებული ფორმით – ბაზრობებით. სწორი მენეჯმენტის პირობებში, შესაძლებელია, რომ მომსახურებისა და სავაჭრო სფეროს თანამედროვე ორგანიზებული ფორმები (მოლები, სუპერმარკეტები, სავაჭრო ცენტრები, გამოფენა-გაყიდვები, სალონები და ა.შ.) ინვესტირების სასურველ ობიექტებად განვიხილოთ.

აღნიშნული კუთხით, განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების გასწვრივ, კოპიტნარის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში და ა.შ. როგორც „ელიტელის“, „სამსუნგის“, „ბოშის“, „ელიტელექტრონიქსის“, „პოპულის“ და სხვათა გამოცდილებამ გვიჩვენა, გაზრდილი მოთხოვნის გამო, განსაკუთრებით ხელსაყრელი ჩანს მსოფლიო ცნობილი ბრენდების მიერ საფირმო მაღაზიათა ქსელების ორგანიზება და განვითარება.

ახალ პერსპექტივებს გვთავაზობს იაპონიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით მშენებარე ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ სავაჭრო ობიექტების განთავსების პერსპექტივა, რომელიც, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროდუქციის რეალიზებას.

4.18. ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად ფორმირება

თანამედროვე პირობებში ქუთაისის როლის ზრდამ და არსებულმა საგანმანათლებლო პოტენციალმა შექმნა შესაძლებლობა იმისა, რომ ქუთაისი გადაიქცეს საუნივერსიტეტო ქალაქად. ქალაქში ფუნქციონირებს ორი აკრედიტებული უნივერსიტეტი, რამდენიმე კოლეჯი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა, კადრების კვალიფიკაციის დონე მაღალია.

4.19. ინფრასტრუქტურის და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესება

ყოველწლიურად, რეგიონული და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად (გზები, ხიდები, წყლისა და საკანალიზაციო სისტემები და არხები, ფასადები, გადახურვა, ლიფტები). 2012 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან 11,5 მლნ ლარი გამოიყო, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი – 12,2 მლნ ლარი. სოფლის პროგრამებისათვის 8,7 მლნ ლარი დაიხარჯება, ხოლო მუნიციპალური განვითარების ფონდი რეგიონში 9,7 მლნ ლარის სამუშაოებს შეასრულებს. ამდენად, ზემოთ აღნიშნული სახის პროექტებზე სახელმწიფოს ძალისხმევით სულ 41,7 მლნ ლარი დაიხარჯება.

2015 წლამდე პერიოდისათვის ყოველწლიურად არის განსაზღვრული სკოლების აღჭურვილობის შექმნა და რეაბილიტაცია ქ. ქუთაისსა და ყველა მუნიციპალიტეტში. სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ტყის რესურსის შენარჩუნებას ხელს შეუწყობს ისეთი დაგეგმილი ღონისძიებები, როგორცაა: ელექტროენერჯის მიწოდების გამრიცხველიანება მუნიციპალიტეტების 316 სოფელში, გაზიფიკაცია ქუთაისსა (1200 აბონენტი) და მუნიციპალიტეტებში (სულ 26266 აბონენტი), სენაკი-ქუთაისისა და ვალე-ვანის გაზსადენის მშენებლობა, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შენობების რეაბილიტაცია და გაზიფიცირება (ქუთაისი, ხონი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, ვანი). სამეწარმეო სექტორისა და მოსახლეობისათვის მაქსიმალური კომფორტის შექმნის მიზნით იგეგმება იუსტიციის სახლების მშენებლობა (სამტრედია, ჭიათურა, ზესტაფონი). 2012-2013 წლებში იგეგმება სამედიცინო ცენტრების მშენებლობა ვანსა და ხარაგაულში, დასრულდა სამედიცინო ცენტრის მშენებლობა ქუთაისში.

2012-2014 წლებში განსაზღვრულია ისტორიული და მართლმადიდებლური ძეგლებისა და ობიექტების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია (ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, გელათის, ბაგრატის, გეგუთის, დარყას და უბისის მონასტრები, კაცხის სვეტი და ეკლესია, გორდის დადიანების სასახლის რეაბილიტაცია).

4.20. ნარჩენების მართვის სრულყოფა:

- ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება,
- ნარჩენების დახარისხებული შეგროვების ხელშეწყობა და სხვადასხვა სისტემების დანერგვა ქ. ქუთაისში, საკურორტო ქალაქებში და ა.შ;
- არსებული ნაგავსაყრელების დახურვა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება;
- ახალი რეგიონული პოლიგონების მშენებლობის ხელშეწყობა, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოსდაცვით მოთხოვნებს;
- საწარმოო და სახიფათო ნარჩენების განთავსების უზრუნველყოფა;
- ნარჩენების გადამამუშავებელი მცირე საწარმოების შექმნის ხელშეწყობა;
- ნარჩენების მიმღები პუნქტების ხელშეწყობა.

4.21. ენერგორესურსების ეფექტიანი გამოყენება

არსებული ენერგორესურსების გამოყენების დონის ამაღლებისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარება;

ენერგოეფექტიანობისა და ენერჯის დაზოგვის ხელშეწყობა.

იმერეთის მხარის ენერგეტიკული პოტენციალის გაძლიერება, უახლოეს წლებში, უნდა უზრუნველყოს რეგიონის ჰიდრორესურსების გამოყენების გაუმჯობესებამ. ამ მიზნით, იმერეთის

მდინარეებზე განსაზღვრულია 15 ახალი მცირე და საშუალო ზომის ჰესების აგება. საერთო დადგმული სიმძლავრე მიაღწევს 135,34 მეგავატს, მათ შორის:

იმერეთის რეგიონში ასაშენებელი პოტენციური ჰესების ჩამონათვალი

№	ჰესის დასახელება	მდინარის დასახელება	სავარაუდო დადგმული სიმძლავრე (მგვტ)
1.	ჭალა	ყვირილა	9.14
2.	ჯრია	ყვირილა	9.2
3.	ბორითი	დუშალა	6.4
4.	წაბლარი 1 (საირმე)	წაბლარის წყალი	5.8
5.	წაბლარი 2	წაბლარის წყალი	10.2
6.	ხან-წაბლარი 3	ხანი-წაბლარის წყალი	8.3
7.	ხანი 7	ხანისწყალი	6.4
8.	მარელისი	ბჟოლის ხევი	4.6
9.	ზესტაფონი 1	ყვირილა	10.0
10.	ზესტაფონი 2	ყვირილა	11.9
11.	ზესტაფონი 3	ყვირილა	15.9
12.	ზესტაფონი 4	ყვირილა	15.9
13.	თავზარა	შავიწყალი	6.0
14.	სახვლარი	შავიწყალი	5.3
15.	ხუნევი	ძირულა	11.3
	სულ:		135,34

იმერეთის კლიმატი ზოგადად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ალტერნატიული ენერგეტიკის, კერძოდ, ქარისა და მზის ენერჯის გამოყენებისათვის.

იმერეთი ქარის ენერგეტიკული ბუნებრივი პოტენციალის მიხედვით მაღალი სიჩქარეების ზონას მოიცავს. ქარის ენერჯის გამოყენებისათვის იმერეთში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია ქუთაისში, კორბოულსა და ტყიბულში. აქედან ყველაზე პერსპექტიულია ქუთაისი, სადაც შესაძლებელია ქარის ელექტროსადგურის დამონტაჟება, საერთო სიმძლავრით 150 მგვტ სადგურის წლიური გამომუშავების სიმძლავრე შეიძლება იყოს 110,0 მლნ კვტ სთ წელიწადში.

ქარის ეფექტიანი ელექტროსადგურების პერსპექტიული მშენებლობის მოედნები იმერეთის ტერიტორიაზე

	ადგილმდებარეობა სიმძლავრე	სიმძლავრე (მგვტ)	ენერჯის წლიური გამომუშავება (მლნ კვტ სთ)
1	ქუთაისი	100	200
2	მთა-საბუეთი I	150	450
3	მთა-საბუეთი II	600	2000
	სულ:	850	2650
	ხვ. წილი საქართველოსთან,%	58,6	63,7

მონიტორინგის ცხრილი

	შესასრულებელი სამუშაოები/ღონისძიებები	2012		2013		2014		2015		2016		2017	
		I- VI	VII- XII	I- VI	VII- XII	I- VI	VII- XII	I- VI	VII- XII	I- VI	VII- XII	I- VI	VII- XII
1	ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა												
2	ქუთაისი-სამტრედიის ავტობანის მშენებლობა												
3	იმერეთის რეგიონის ბრენდინგის კონცეფციის შემუშავება												
4	იმერეთის მოსახლეობაში სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლეთა ხვედრითი წილის გაზრდა (47%-მდე)												
5	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის რეალიზაცია მუნიციპალიტეტებში												
6	ქალაქების – ტყიბულის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანისა და ჭიათურის წყალმომარაგების სისტემების სრული რეაბილიტაცია – პროექტირება მშენებლობა												
7	ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია												
8	წყალტუბოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია – პროექტირება, მშენებლობა												
9	იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შენობების რეაბილიტაცია (ქუთაისი, ვანი, ხონი, ბაღდათი, ზესტაფონი, წყალტუბო, თერჯოლა)												
10	სოფლის მეურნეობის პროდუქტების ლოჯისტიკური ცენტრის ფორმირება (ქუთაისი-სამტრედიის ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით)												
11	3000-მდე მუშა-მოსამსახურის დასაქმება ქუთაისის თიზ-ში												
12	ისტორიული და კულტურული ძეგლებისა და ობიექტების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია (ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, გელათის, ბაგრატის, გეგუთის, დარყას და უბისის მონასტრები, კაცხის სვეტი და ეკლესია, გორდის დადიანების სასახლის რეაბილიტაცია)												
13	სკოლების აღჭურვილობა და რეაბილიტაცია ქ. ქუთაისში და ყველა მუნიციპალიტეტში												

